საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 ოქტომბერი 2002 №199 (1721) | ფასი 50 თეთრი



# უშველებელი

## ყველაფერი ერთი დიდი წრეა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდა, დღეს მეორე იწყება, სალაპარაკო კი ისევ ისაა, ჩემპიონატის დაწყებამდე რაც იყო. მხოლოდ ამ ჩემპიონატს არ ვგულისხმობთ — საქართველოში ყოველი სეზონი ერთიდაიგივე პრობლემებით იწყება და მთავრდება. ყოველი სეზონის წინ ფედერაცია უკეთეს მომავალზე ლაპარაკობს და არაფერი იცვლება, ხოლო რაც იცვლება, უარესისკენ. ეს ამბავი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

სტადიონებზე ქვას ადრეც ისროდნენ, თუმცა იმდენს, კაცი დაითვლიდა მაინც. ახლა ქვების თვლა უიმედო საქმეა, ანგარიში უეჭველად აგერევათ.

უფულობაზე წუწუნიც ყოველთვის იყო, მაგრამ ამ მიზეზით წლეულს ჩემპიონატი ლამის ჩაიშალა. კი, უფულობის გარდა სხვა რამეზეც იყო ლაპარაკი, ორი გუნდი საპრეზიდენტო არჩევნებამდე საწევროს გადახდას უარობდა, მაგრამ შედეგი, ჩემპიონატის ჩაშლის პირას მისვლა, ამით არ იცვლება.

ასე თუ ისე, თორმეტმა გუნდმა ჩემპიონატი დაიწყო, მაგრამ რამდენი ჩაამთავრებს, საკითხავი ეგაა. მერანელები დღეს რუსთავში ჩაუსვლელობით იმუქრებიან. სამი თვის ხელფას-პრემიების მიუღებლობას ჩივიან.

და რა —არ ჩავლენ და მოკვეთა ემუქრებათ, ჩავლენ და, რა განწყობით და ენერგიით უნდა ითამაშონ, დაპირებისა ხომ საქართველოში დიდი ხანია, ალარავის სჯერა.

სრული ქაოსია „მეტალურგში", რომელმაც წლეულს მსაჯის ცემით გამოიჩინა თავი. რაღაც უცნაური ამბები ხდება „ლოკომოტივშიც". მოკლედ, რომელი ერთი ვთქვათ.

თუმცა, მთელ ამ დომხალშიც შეიძლება კაცს რაღაც გაუხარდეს. კარგ ევროპულ გუნდებს რამდენიმე დინამოელი ფეხბურთელი მოსწონებიათ და მათში კარგ ფულსაც იხდიან. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ გაგრძელება აქვს არაჩვეულებრივი — დინამოელებს წასვლა არ უნდათ და კლუბიც არ ფიქრობს მათ გაყიდვას. არადა, რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არსებობს, კლუბები გრომშებადაც მზად იყვნენ მოთამაშეთა გასასხვისებლად და თავად ფეხბურთელებიც რაგინდ მდარე კლასის გუნდზეც ყაბულს იყვნენ, ოღონდ ვინმე გამოჩენილიყო.

ეს ნიშნავს, რომ „დინამოს" ფეხბურთელებს სჯერათ გუნდის და გუნდს სჯერა მომავლის.

ეს ამბავი იქიდან მოდის, რაც კლუბს პატრონი შეეცვალა და მართლა ჭკვიანი მწვრთნელი მიუვიდა. ფედერაციას კი ამისთვის მადლობას ვერ გადავუხდით, ფედერაციის ხელი ამაში არ ურევია.



# ბორჯღალის გზა






## 1989—2002

## ზიმბაბვედან რუსეთამდე

## საქართველო ავსტრალიაში

RUGBY WORLD CUP 2003

## ჩვენი მეტოქეები





## ბორჯღალოსნების ქართულ-ფრანგული შტაბი, ყველა მატჩი, ყველა მწვრთნელი, ყველა კაპიტანი

იხილეთ მეშვიდე-მეათე გვერდები



გიო ახვლედიანის

სვეტი

# როდის და როგორ

ცხადია, რომ საქმე ის კი არ არის, რუსეთს როდის ეთამაშები, არამედ ის, თუ როგორ ეთამაშები.

ასე რტყვიან ხოლმე, თითქოს ერთი ძალა მოსდგამდეთ, რომ სულერთი იყოს.

ტურნირი იმის ტურნირია, რომ როდის თამაშობ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა საქართველოს ნაკრების უფროსობისთვის ტურნირის ცხრილის განყობა იმდენად მდაბალთა საქმეა, რომ თავის დროზე არც ამით აუტკივებია თავი, სათამაშოა და რა მნიშვნელობა აქვს, როდის ვითამაშებთო.

ერთ დროს, ასე იქცეოდა უელსის ნაკრებიც, რომელიც ზრდილობის გულისთვის დაიარებოდა შეჯიბრებებზე და მგონი ერთადერთი გუნდის, გერმანიის მულამი ჰქონდა. ასე ითამაშა უელსის ნაკრებმა თბილისშიც, იმათი დროით ადრიან დილით და ჩვენი დროით ნაშუადღევს. იმ თამაშში საქართველომ გადაიხადა თავისი ყველაზე საამაყო ოთხმოცდაათი წუთი და 5:0 მოუგო უელსს.

ამ გუნდების შეხვედრა ახლაც საინტერესო იქნებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ დავინახავდით ვინ რა მოიმკო და ვინ როგორ განვითარდა ბოლო შვიდ-რვა წელიწადში, უელსი, რომელმაც იტალია დაადუღა ამ ოთხშაბათს, თუ საქართველო, რომელსაც ყველაზე საამაყოდ იტალიასთან სამი წლის წინათ შინ ნათამაშევი უგოლო ფრე უჩანს.

მაგრამ დავუბრუნდეთ „როდის თამაშის" საკითხს რუსეთთან დაკავშირებით.

30 აპრილი საუკეთესო დროა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს და მადლობა ღმერთს, რომ რაღაც გამოვიდა. ასე რომ, ყველაფერი თავიდან იწყება. თუმცა, ჟორდანია-კოლოსკოვის მოლაპარაკებას ბინდით მოსავენ თავად რუსის ფეხბურთის დიდმოხელეები, მაგ მოლაპარაკებისა არაფერი ვიცითო.

გაზაევს და ფეხბურთელებს აღარ ნდომებიათ თბილისში მეორედ ჩამოსვლა და ნეიტრალურ მინდორზე თამაში სწყურიათ. ალბათ იმ ორი (ზუსტი ციფრია) ქვის გამო, რუსთა ერთ-ერთ ავტობუსს რომ მოხვდა. მათ ქვები დაინახეს, ბომბები კი, რუსებმა რომ დააყარეს საქართველოს, არ დაუნახავთ.

რუსები წამხდარნი ჩანან. არა იმიტომ, რომ ფეხბურთში ვაჯობეთ, არამედ იმიტომ, რომ მგონი რუსი ფეხბურთელები პირველი რუსები გამოდგნენ დედამიწის ზურგზე, რომლებმაც იგრძნეს, რომ საქ. სსრ-ში კი არ ჩამოვიდნენ, არამედ სხვა ქვეყანაში და ამან საკმაოდ იმოქმედა მათზე. მეორედ დაქოქვა ასეთ საგანგებო გარემოში სათამაშოდ, იოლი არ არის. ყველასთვის ჩვეულებრივი იქნებოდა ეს გარემო, მაგრამ რუსმა ხომ იცის საქართველო და მის ადგილას სხვა დაუხვდა.

ჩემის მოკლე ჭკუით, 30 აპრილი კარგი თარიღია.

# გამარჯობა, ლევან უფროსო!

## ყიფიანი მატარებელში ავიდა

## ცაკარიასის ახალი თანაშემწე დადუნაშვილია

რა ბედი ეწევათ „ლოკომოტივიდან" დათხოვილ მწვრთნელ-ფეხბურთელებს, ჯერჯერობით უცნობია. რკინიგზულ კლუბში კი ნელ-ნელა ახალი სახეები ჩნდებიან. გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ლევან ყიფიანი ვიცე-ჩემპიონებთან იმუშავებს. ყიფიანმა და „ლოკომოტივის" თავკაცებმა მოლაპარაკებისას საერთო ენა გამონახეს და ლევანს გუნდის უფროსობა ანდეს. როგორც რკინიგზულ კლუბში გვითხრეს, ყიფიანი გუშინვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

ახლა ლუის ცაკარიასის ახალ თანაშემწეზე ვთქვათ, რომლის კანდიდატურაც თავად უცხოელმა მწვრთნელმა შესთავაზა რკინიგზელებს და, როგორც გვითხრეს, კლუბის თავკაცმა აკაკი ჩხაიძემაც მწვანე შუქი აუნთო ახალ მწვრთნელს.

ზაზა დადუნაშვილი შეიძლება, ბევრსაც არ ახსოვდეს, მაგრამ საფეხბურთო წრეებში კარგად იცნობენ სამტრედიის „სანავარდოს", „არმაზი 90"-ის და ჭიათურის „მაღაროელის" ყოფილ მოთამაშეს. ძვალმსხვილი და ტექნიკური ნახევარმცველი საქართველოდან 1994 წელს უკრაინაში გაემგზავრა და იქაურ „ბელაია ცერკოვში" იბურთავა. იქიდან სულ ცოტა ხნით ისევ „მაღაროელში" დაბრუნდა და მას აქეთ გერმანიის დაბალ ლიგებში თამაშობდა.

როგორც ვიცით, დადუნაშვილმა გერმანიაში სამწვრთნელო კურსები დაამთავრა, ცაკარიასიც იქ გაიცნო და ამიერიდან თბილისში მასთან ერთად იმუშავებს.

გუშინწინ „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ლვაბერიძემ გვითხრა, გუნდიდან გაშვებული როინ ონიანის საკითხი ჯერაც გასარკვევია, არ არის გამორიცხული, უკანვე დავაბრუნოთო.

კლუბის თავკაცებისთვის ვიღაცას ჭორი შეუპარებია, ონიანი ვარჯიშებს სისტემატურად აცდენდაო. როინს შარად ბევრი რამ შეიძლება მოსდო, მაგრამ მის შრომისმოყვარეობას ვერავინ უარყოფს. ცაკარიასმაც თავის დავთარში ჩაიხედა, ონიანს ვარჯიში რაა, ისიც არ გაეცდინა. მერე ის დავთარი უფროსებს აჩვენა და როინიც უკან, „ლოკომოტივში" დააბრუნეს.

უფრო რთულადაა სულიკო დავითაშვილის და გელა ქორიძის საქმე. მათი რეაბილიტირების შესახებ გუშინ რკინიგზაში არაფერი თქმულა. იქ გადაჭრით აცხადებენ, დავითაშვილი და ქორიძე გუნდიდან გავუშვითო.

მთელ ამ ორომტრიალში, რომელიც ფაქტობრივადა ჯერ კიდევ 6 ოქტომბერს „მერანთან" სტუმრად წაგებული მატჩის შემდეგ დაიწყო, ხოლო ოთხშაბათს ვაკეში „ბათუმის" ზეობის შემდეგ ვნებათაღელვამ პიკს უწია, არსად გაჟღერებულა ლევან მიქაძის მოკვეთის ამბავი. უკრაინიდან „ლოკომოტივში" მობრუნებული განაპირა მცველი თავის საქმეს თითქოს ისე ასრულებდა, მის მიმართ საპრეტენზიოც არაფერი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ გუშინ მიქაძის და „ლოკომოტივის" გზებიც გაიყარა. ლევანი დეკემბერში ისედაც დაგვტოვებდა, უცხოეთში სურდა თამაში, ამიტომ უმჯობესია, მის ადგილს სამომავლო პერსპექტივის მქონე ფეხბურთელი გაეჩვიოსო, ასე გადაწყვიტეს რკინიგზაში.

გუშინვე ხმები დაირხა, გუნდიდან დავით ჭიჭვეიშვილი და ამჟამინდელი კაპიტანი გიორგი ბალაშვილიც დაითხოვესო, მაგრამ ხელმძღვანელობამ ეს ცნობა არ დაადასტურა, მსგავსი არაფერი მომხდარაო. მოკლედ, მოკვეთილი ჯერჯერობით ოთხია, კახა გოგიჩაიშვილი, გელა ქორიძე, ლევან მიქაძე და სულიკო დავითაშვილი. არ დაგვავიწყდეს, რომ „აბრეზა" მეცამეტე ეროვნულის ბომბარდირია და მისი გოლებით „ლოკომოტივმაც" გვარიანად იხეირა. აქვე ცაკარიასის ოთხი თანაშემწე — კოტრიკაძე, სვანაძე, ჯიშკარიანი და ჩხაიძე ვახსენოთ და ასე გამოდის, რომ რკინიგზა ნახევარ „ლოკომოტივს" შეელია.

ასეთი ცვლილებების შემდეგ კლუბში ვითარება კი უნდა დაწყნარდეს, მაგრამ ბოროტი ენები გაიძახიან, სიმშვიდე კი არა, „ლოკომოტივში" რეპრესიები ახალი ძალით იფეთქებსო.

**მამუკა ძვანტალიანი**



ლევან ყიფიანი

# დინამო!

# დარასელიამ და ამისულაშვილმა პირი შეკრეს



ივო შუშაკი შეგირდთა ერთგულებით, ცხადია, კმაყოფილია

თურმე ასეც შეიძლება მოხდეს, საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელმა უცხოურ, თანაც სოლიდურ კლუბში წასვლა იუაროს.

თბილისის „დინამოს" ნახევარმცველ ვიტალი დარასელიას ჩეხურმა „ლიბერეცმა" თვალი რომ დაადგა, მისი სატრანსფერო ფასი იკითხა და მოსალაპარაკებლად კაცის გამოგზავნას აპირებს, ეს ამბავი გეცოდინებათ, თუ არადა, მოკლედ შეგახსენებთ: „ლიბერეცმა" „დინამოში" ორიოდ დღის წინ ფაქსი აფრინა, დარასელია მოგვეწონა და მის სანაცვლოდ რამდენი მოგართვათო. თბილისელთა პასუხმა არ დააყოვნა — 3 მილიონი დოლარიო, შეუთვალეს ჩეხებს, რომლებმაც სწორედ თანხაზე მოსალაპარაკებლად თავიანთი წარმომადგენლის თბილისში გამოშვება გადაწყვიტეს. აქვე ვთქვათ, ძნელი დასაჯერებელია, ჩეხების სურვილი რეალობად იქცეს, მით უმეტეს, თავად ფეხბურთელია ტრანსფერის წინააღმდეგი და ამბობს, „ლიბერეცში" რა მესაქმება, როცა მომავალ სეზონში „დინამო" მასზე უკეთესი გუნდი იქნებაო. „დინამომ", რა თქმა უნდა, ფეხბურთელს საქციელი შეუქო.

ახლა მეორე პატარა ამბავი. 12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის ჩაშლილ მატჩს კიევის „დინამოს" მენეჯერი ანდრეი ბიბა დაესწრო და 45 წუთი მისთვის საკმარისი იყო, ეთქვა — ალეკო ამისულაშვილის თამაშით მოხიბლული ვარ, ის მეორე კალაძეა და ვეცდები, კიევის „დინამოში" გადავიბიროთო. ბიბამ ეს სიტყვები ჯერ ქართულ საფეხბურთო წრეებში თქვა, მერე უკრაინაში და რამდენიმე ჟურნალისტთან საუბარშიც იგივე გაიმეორა. მართალია, ჯერჯერობით „დინამოს" ამისულაშვილის მოთხოვნის თაობაზე კიეველთაგან ოფიციალური წერილი არ მიუღია, თუმც იცის, რომ უკრაინელები ფეხბურთელით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი. ჩვენ კი ვეჭვობთ, „ლიბერეცის" არ იყოს, კიევის „დინამოს" გამოუვიდეს სატრანსფერო საქმე ქართულ „დინამოსთან". თავად ფეხბურთელიც თითქმის იგივეს იმეორებს, რასაც მისი თანაგუნდელი — სამი წელი „დინამოდან" ფეხის გამდგმელი არ ვარო. დინამოელებმა ამისულაშვილის ნათქვამიც მოიწონეს. კლუბისადმი შეგირდთა ასეთი ერთგულებით უზომოდ კმაყოფილი არის მწვრთნელი ივო შუშაკი. ის ამბობს: „დინამოში" ჩემს მოსვლამდე საქართველოს ნაკრებში ამ კლუბიდან არც ერთი ფეხბურთელი არ იყო, ახლა კი ექვსი ეროვნული გუნდის წევრია, ოთხი — ახალგაზრდულის. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს „დინამოს" პროგრესზე. თურმე საქართველოშიც შეიძლება ნაკრებისთვის გამოსადეგი ფეხბურთელების მომზადება. მიხარია, რომ „დინამოს" პოტენცია თავად ბიჭებმაც შეიგრძნეს. მისასალმებელია კლუბისადმი მათი პატივისცემა."

ამისულაშვილის გარდა ანდრეი ბიბას გიორგი შაშიაშვილზეც ჩამოუგდია სიტყვა, თბილისში რუსი თავდამსხმელების სანახავად ვიყავი ჩამოსული, თუმც ყველაზე მეტად თბილისის „დინამოს" ორი მცველი მომეწონაო.

ყოველივე ზემოთქმული გუშინ თბილისის „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძემ დაგვიდასტურა და ისიც გვითხრა, „დინამო" სხვა კლუბთაგან მიღებულ ყველა წინადადებას სერიოზულად კი განიხილავს, მაგრამ არც ერთი ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს, მეტიც, გაძლიერებაზე ფიქრობსო.

**კობა ინასარიძე**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. IX ტური

ლიუბეკი 1:1 დუისბურგი

ალენი 1:2 ალემანია

ტრირი 2:2 აინტრახტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIII ტური

მიუნსტერი 5:0 იურდინგენი

სამხრეთ რეგიონალლიგა XV ტური

უნტერჰახინგი 1:1 ზაარბრიუკენი

## თურქეთი

IX ტური

ფენერბაჰჩე 1:1 ადანასპორი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. VIII ტური

გრააფსხაპი 1:3 ნაიმეგენი

II დივიზიონი. VIII ტური

მაასტრიხტი 1:4 კამბური

დენ ბოსხი 1:0 ვოლენდამი

დორდრეხტი 0:4 ემენი

სიტარდი 2:3 ოსი

დენ ჰააგი 3:0 ჰერაკლესი

ტელსტარი 1:4 სპარტა

ვენლო 0:3 იგლსი

ეინდჰოვენი 1:4 ჰელმონდი

ვეენდამი 3:3 ჰაარლემი

## ინგლისი

მეორე დივიზიონი XIV ტური

კოლჩესტერი 2:0 ჩესტერფილდი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XII ტური

ვალანსი 3:1 მეცი

## პოლონეთი

X ტური

კატოვიცე 2:0 გურნიკი

საქართველოს ჩემპიონატი 14 პირველი ლიგა

პირველი ეტაპი

მერვე ტური

**გურია 0:1 მერცხალი**

**ალაზანი 1:1 მცხეთა**

**ლაზიკა 2:1 ლოკომოტივი 2**

**ლოკო 2:1 ხობი**

**თსუ 0:1 ივერია**

**ჭაბუკთა ნაკრები 2:0 სამგურალი**

**ცხინვალი 5:2 სამტრედია**

**ქობულეთი — დინამო 2**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 8 | 6 | 2 | 0 | 18:9 | 20 |
| მერცხალი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 17 |
| ივერია | 8 | 5 | 2 | 1 | 12:7 | 17 |
| ცხინვალი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 16 |
| მცხეთა | 7 | 4 | 2 | 1 | 11:4 | 14 |
| თსუ | 8 | 4 | 0 | 4 | 7:8 | 12 |
| გურია | 8 | 3 | 1 | 4 | 6:9 | 10 |
| სამგურალი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 7 | 3 | 0 | 4 | 14:11 | 9 |
| სამტრედია | 8 | 3 | 0 | 5 | 9:14 | 9 |
| ქობულეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 4:6 | 9 |
| ლოკომოტივი 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:6 | 8 |
| ლოკო | 8 | 2 | 2 | 4 | 6:10 | 8 |
| დინამო 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| ალაზანი | 8 | 0 | 1 | 5 | 6:19 | 3 |
| ხობი | 8 | 0 | 2 | 6 | 5:16 | 2 |

საქართველოს ჩემპიონატი 14 რეგიონული ლიგა

პირველი წრე

აღმოსავლეთი

მეხუთე ტური

16 ოქტომბერი

ჰერეთი — კახეთი 3:1; ნორჩი დინამოელი — სიონი 2 1:1; გორდა 2 — სამგორი 0:1; ზოოვეტი — ერთობა 9:2; პოლიციის აკადემია — დინამო 2 (სოხ.) 1:1; მაუდი — შავნაბადა გადაიდო

17 ოქტომბერი

კრწანისი — დინამო 3 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზოოვეტი | 5 | 4 | 1 | 0 | 22:7 | 13 |
| ჰერეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 13 |
| მაუდი | 4 | 4 | 0 | 0 | 15:2 | 12 |
| დინამოელი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:1 | 11 |
| დინამო 3 | 5 | 3 | 1 | 1 | 13:5 | 10 |
| გორდა 2 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| სიონი 2 | 5 | 2 | 3 | 0 | 10:2 | 9 |
| კრწანისი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| კახეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| სამგორი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:14 | 3 |
| შავნაბადა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| პოლ. აკადემია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |
| დინამო 2 (სოხ.) | 5 | 0 | 1 | 4 | 3:16 | 1 |
| ერთობა | 5 | 0 | 0 | 5 | 2:30 | 0 |

ცენტრალური

მეექვსე ტური

15 ოქტომბერი

ვაკე 91 — ფეხბურთის აკადემია 5:1; ცხუმი — ოლიმპი ჩაიშალა

16 ოქტომბერი

ვიტ ჯორჯია 2 — ვარძია 3:0

17 ოქტომბერი

მესხეთი — პრემა 2:1; მცხეთა 2 — ლიახვი 3:1; ცხინვალი 2 — დილა 2 3:0; ყაზბეგი — თორი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:2 | 16 |
| მცხეთა 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 14 |
| ვაკე 91 | 5 | 4 | 0 | 1 | 18:4 | 12 |
| თორი | 5 | 3 | 2 | 0 | 16:3 | 11 |
| მესხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ცხინვალი 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:12 | 9 |
| ფეხბ. აკადემია | 6 | 2 | 2 | 2 | 10:12 | 8 |
| ლიახვი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:15 | 7 |
| ოლიმპი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ყაზბეგი | 5 | 1 | 2 | 2 | 10:8 | 5 |
| პრემა | 6 | 1 | 1 | 4 | 8:10 | 4 |
| ცხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ვარძია | 6 | 0 | 2 | 4 | 3:19 | 2 |
| დილა 2 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:23 | 0 |

დასავლეთი

მეშვიდე ტური

15 ოქტომბერი

დინამო (სოხ.) — სალხინო 1:1

16 ოქტომბერი

რაჭა — შევარდენი 3:3; მეშახტე — ჩიხურა 2:0; სსუ — კოლხეთი 2 0:0; ოდიში 2002 — სქური 1:2; ინტერი — სულორი 1:0; მაღაროელი — დინამო (ზუგ.) 3:0 (დინამო არ გამოცხადდა); ბათუმი 2 — ლუკა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 7 | 6 | 0 | 1 | 20:5 | 18 |
| მეშახტე | 7 | 6 | 0 | 1 | 10:5 | 18 |
| მაღაროელი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| ოდიში 2002 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:9 | 14 |
| სქური | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 13 |
| ლუკა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:8 | 12 |
| ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| ბათუმი 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| სულორი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 8 |
| რაჭა | 6 | 2 | 1 | 3 | 14:10 | 7 |
| დინამო (ზუგ.) | 7 | 2 | 0 | 5 | 8:18 | 6 |
| სალხინო | 7 | 1 | 2 | 4 | 10:17 | 5 |
| შევარდენი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:16 | 4 |
| სსუ | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | 4 |
| კოლხეთი 2 | 7 | 0 | 2 | 5 | 3:13 | 2 |
| დინამო (სოხ.) | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | 1 |

# წრე მწირი
## რაც გვინახავს, ისევ ვნახეთ

*დღეს ეროვნული ჩემპიონატის მეთორმეტე ტური იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ უკან დარჩა პირველი წრე, სკანდალური, ნაცოდვილარი, ქვანასროლი, აქა-იქ სენსაციურიც. 3 აგვისტოდან დღემდე ბევრი რამ კი მოხდა ქართულ ფეხბურთში, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც სასიკეთოს ვერაფერს შევამჩნევთ, ცხადია, ერთეული გამონაკლისის გარდა. ჩვენთან არაფერი შეცვლილა — ქართული ფეხბურთის რეალობა სკანდალები და უპერსპექტივობაა იმედის და პროგრესის ნაცვლად.*



„დინამოს" გაჰქონდა და პირველია, „გორდა" უშვებდა და ბოლოა

### დახლი სტადიონზე

ჩემპიონატი სკანდალით დაიწყო. აქამდე არასდროს ყოფილა, რომ პირველ ტურში მხოლოდ სამი მატჩი ჩატარებულიყოს. სკანდალი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა. ქართული საფეხბურთო სამყარო ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ერთნი ძველ პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას უჭერდნენ მხარს, სხვათა ფავორიტი კი პერსპექტიული დავით პეტრიაშვილი გახლდათ.

უმაღლესი ლიგის ხუთი ბინადარი— „დინამო", „მერანი", „მილანი", „მეტალურგი" და „გორდა" პეტრიაშვილის ბანაკში აღმოჩნდა. „დინამომ" უპრობლემოდ გადაიხადა ჩემპიონატში სამონაწილეო 22 ათასი ლარი, უფულო ოთხეულს კი პრობლემები შეექმნა. დავაკონკრეტოთ, „მილანს" და „გორდას" მართლაც არ ჰქონდათ საწევროს გადახდის საშუალება, „მერანს" და „მეტალურგს" შეეძლოთ 22 ათასის მოძიება, მაგრამ ფული რატომ გადავყაროთ, იქნებ პეტრიაშვილი გაპრეზიდენტდეს და ერთი თვე მოითმინეთო, შეუთვალეს სფფ-ს. ფედერაცია მაგრად დადგა, თითი უქნია ამბოხებულებს, მერე კი ვაჭრობა გაჩაღდა, ჯერ ოთხი ათასის შეტანაზე დაყაბულდნენ გუნდები, მერე მაზანდა ათამდე აწიეს, ამასობაში პირველი ტურიც მოახლოვდა და ოთხეული უქულოდ დარჩა. „მერანს" და „გორდას" ერთმანეთთან უნდა ეთამაშათ და საწევროს გადაუხდელობისთვის წაგება ჩაეთვალათ. ტექნიკური 0:3 გაუფორმეს „მილანს" „კოლხეთთან" და „მეტალურგს" „დინამოსთან". ამის მერე შეფუცხუნდნენ მოჯანყენი, ჯიბეზე ხელი გაიკრეს, ცოტა ფედერაციამ დათმო და როგორც იქნა, ჩემპიონატი კალაპოტში ჩადგა.

### ქვათაყრის თვე

პირველ წრეში ჩვენ სტადიონებზე იმდენი გოლი არ გასულა, რამდენიც ქვა გადაიყარა. წინა ჩემპიონატთან შედარებით, სტადიონზე გულშემატკივარმა იმატა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატს მაყურებელი ბოლმით და ქვის სეტყვით დაუბრუნდა. შესაბამისად, ისეთი მატჩებიც მოგვიმრავლდა — პოლიცია რომ უფრო სჭარბობდა რიგით ქომაგს, თუმც ისიც სათქმელია, რომ ასეთ სიტუაციაშიც ვერ ახერხებდნენ ძალოვანები ექსცესების ჩაქრობას. ქვის სროლას სექტემბერში მოუხშირეს, ქვათაყრის თვე მართლაც დაძაბული გამოდგა, ქვის სუნი ტრიალებდა სადისციპლინო კომიტეტის სხდომებზეც.

ჯანი კარნევალის წარბი გაუხეთქეს ჩუბინმა გორელებმა, „დილას" ფულადი ჯარიმა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდა. ქვა დაყარეს ქუთაისში „დინამოს", დისციპლინარებმა გორელთა მსგავსად დასაჯეს იმერლები. თუმც ეს ორი სკანდალი მონაგონი იყო ზესტაფონში მომხდართან. „მეტალურგი"—„ვიტ ჯორჯიას" მატჩი ჩაიშალა, თანაც ამას ლამის სისხლისღვრა მოჰყვა მოედანზე. მსაჯები გაილახნენ, გაავებულმა ხალხმა მოედანზე სხვადასხვა საგნები ისროლა. დისციპლინართა რისხვაც შესაბამისი იყო. „მეტალურგი" საშემოდგომო ეტაპის ბოლომდე უსახლკაროდ და უპატრონოდ დარჩა. კლუბიდან წავიდა პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი, შედეგად, ელემენტარული პირობები მოაკლდათ ზესტაფონელებს და ბოლო ტურის მატჩი ლამის ჩაშალეს გურჯაანში, რადგან საერთოდ არ აპირებდნენ კახეთის გულში ჩასვლას. საქართველოს ჩემპიონატს აქამდე ისე არ ჩაუვლია, ფეხბურთელისთვის კარიერის დამთავრების ტოლფასი სასჯელი არ მიეცათ. მსგავსი ფაქტი ახლაც მოხდა. ზესტაფონში მომხდარ არეულობაში, მსაჯის ცემა დაუმტკიცდა „მეტალურგის" 32 წლის მცველ ალექსანდრე შეყრილაძეს და იგი ერთი წლით მოიკვეთა ფეხბურთიდან.

პირველ წრეში მსაჯებიც სცოდავდნენ და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა რამდენიმეს დისკვალიფიკაციაც არ დაუგვიანა. დასჯილთაგან კახა მესხს გამოვარჩევთ, კაცურად რომ აღიარა თავისი დანაშაული სახალხოდ.

### ივო

ეს კაცი და მისი გუნდი მართლაც ნათელი წერტილია ჩვენს ჩემპიონატში. ხორვატმა ივო შუშაკმა ევროპულ რელსებზე დააყენა „დინამო" და მოთმინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება გუნდთან ერთად. შუშაკის დამსახურებაა, „დინამო" ტოლ-სწორად რომ ეთამაშა უეფას თასზე არცთუ ურიგო ჩეხურ „ლიბერეცს". ვერც კი ვიხსენებ, ბოლოს როდის მიაღწია ქართულმა გუნდმა ევროსარბიელზე ოქტომბრის თვემდე. შუშაკისვე დამსახურებაა, ნაკრებში დინამოელები რომ გამოჩნდნენ. ამისულაშვილს კალაძეობას უწინასწარმეტყველებენ, მაშიაშვილი ბევრს აოცებს თავისი ფორმით და სტაბილურობით, დარასელია კი უდავოდ პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელია. ვიტალის პროგრესი აშკარაა და საქმისადმი სწორად მიდგომის შემთხვევაში დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

შუშაკივით ვერ გვაოცებს მეორე უცხოელი მწვრთნელი ლუის ცაკარიასი. მართალია, ტომით ბერძენი პერუელის „ლოკომოტივში" მისვლიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ რაც ცაკარიასმა იმუშავა, სახარბიელო ნამდვილად არ ეთქმის. „ლოკომოტივის" მეოთხეობა ძნელი ასატანია რკინიგზელთათვის და არ არის გამორიცხული, აკაკი ჩხაიძემ მალე ხელიც დაუქნიოს ულვაშა ლუისს, მით უფრო, რომ მწვრთნელთა დათხოვნის დიდი გამოცდილება აქვს. აგერ, რამდენიმე დღის წინ სულაც ერთბაშად ოთხი მწვრთნელი დაიფრინა გუნდიდან.

ჩემპიონატის მსვლელობისას მწვრთნელი შეიცვალა კიდევ ორ გუნდში. ვარლამ კილასონია „გორდაში" შექმნილ არასაფეხბურთო სიტუაციას გაერიდა, „მილანმა" კი სულაც ორჯერ მოასწრო მწვრთნელის გამოცვლა — სოსო ბარამიძის საქმის გამგრძელებელ ბერდია გვენცაძეს ცოტა ხნის წინ ალიოშა არევაძე ჩაენაცვლა და ჯერჯერობით ასპროცენტიანი შედეგიც აქვს, რაკილა სადებიუტო მატჩში მისმა გუნდმა „მეტალურგს" მოუგო.

### სენსაცია და ორი რეკორდი

პირველ წრეს სენსაციების გარეშე არ ჩაუვლია. ყველაზე დიდი მოულოდნელობები „ლოკომოტივს" უკავშირდება. რკინიგზელებმა ბევრი გააოგნეს მეოთხე ტურში, შინაურ სარბიელზე „მილანთან" წაფორხილებით, ავჭალაში „მერანთან" მარცხით პატრონთა რისხვა კი დაიმსახურეს, მაგრამ ეს ორი მატჩი მონაგონი იყო პირველი წრის ბოლო შეხვედრაში „ბათუმთან" ჩაფლავებასთან. აქამდე მოუგებელი ზღვისპირელების „ლოკომოტივზე" ზეობას ბევრი მართლაც ვერ წარმოიდგენდა. სენსაციური ნაკლებ, მაგრამ მოულოდნელია კია „გორდას" ბოლო ადგილზე ყოფნა. პირველი წრე გავიდა და რუსთაველები 3 ქულის ამარა არიან. გია გეგუჩაძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდება მდგომარეობის გამოსასწორებლად. აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ სწორედ „ლოკომოტივი" და „გორდაა" ის ორი გუნდი, ვეტერანებზე რომ თქვეს უარი. გია გეგუჩაძეს ეგებ სანანებელიც გაუხდეს გიორგი კილასონიასთან განშორება, რკინიგზელები კი წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს სულიკო დავითაშვილს დაშორდნენ და სხვა გამოცდილ ფეხბურთელთა გაშვებასაც აპირებენ. ვფიქრობ, ყოველივემ სასიკეთო შედეგი მოუტანოს „ლოკომოტივს". აკი გუნდის თამაში კახა გოგიჩაიშვილის სკამზე დასხმის შემდეგ აირია.

პირველი წრის ბოლოს ორი რეკორდი გამოცხვა. ზურაბ იონანიძე ჩემპიონატში გატანილი გოლებით პირველია. რუსთავში „გორდასთან" მან 150-ედ შეარხია მეტოქის კარის ბადე. რეკორდსმენია ბათუმელი თემურ ტუღუშიც. მასსავით 302-ჯერ ეროვნულ ჩემპიონატებში არავის უთამაშია.

ბააჩა ძვანტალიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 23:1 | 28 |
| ტორპედო | 11 | 8 | 1 | 2 | 23:7 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 18:5 | 25 |
| ლოკომოტივი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:7 | 19 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| სიონი | 11 | 5 | 1 | 5 | 14:16 | 16 |
| მეტალურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 7:16 | 13 |
| მერანი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | 11 |
| მილანი | 11 | 2 | 3 | 6 | 5:17 | 9 |
| დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 6:17 | 8 |
| ბათუმი | 11 | 1 | 5 | 5 | 6:11 | 8 |
| გორდა | 11 | 1 | 0 | 10 | 4:22 | 3 |

*პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება*

საქართველოს უმაღლესი ლიგის პირველი ჩემპიონატი 14 ეტაპი 12 ტური

რუსთავი. ფოლადი. 19 ოქტომბერი. 16 საათი

**გორდა — მერანი**

მსაჯები: მ. მაღალურაძე, ლ. სილაგავა, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებული: ა. ბურნაძე (გორდა)

თბილისი. ეროვნული. 19 ოქტომბერი. 16 საათი

**დინამო — მეტალურგი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ო. ხეცაძე; ა. მუშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებული: ა. სახვაძე (დინამო)

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 19 ოქტომბერი. 16 საათი

**მილანი — კოლხეთი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); გ. ასკაროვლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 20 ოქტომბერი. 16 საათი

**სიონი — ბათუმი**

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა
დისკვალიფიცირებული: ჩიჩუა, კობიძე (ორივე ბათუმი)

თბილისი. ლოკომოტივი. 20 ოქტომბერი. 16 საათი

**ლოკომოტივი — დილა**

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

თბილისი. შევარდენი. 21 ოქტომბერი. 16 საათი

**ვიტ ჯორჯია — ტორპედო**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# ფული!
## უხელფასო მერანელები თამაშს უარობენ



ანზორ მამალაძეს გუნდი აუჯანყდა

თბილისურ „მერანში" ფეხბურთელთა უკმაყოფილებამ ახალი ძალით იფეთქა. არავის გაუკვირდეს, თუ დღეს ავჭალელები რუსთავში „გორდასთან" სათამაშოდ არ გამოცხადნენ და მეტოქეს უშრომელი სამი ქულა უფეშქაშეს. თუ ასე მოხდა, მაშინ ეს იქნება ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა „გორდა" „მერანთან" სამ ქულას მიითვლის. ავჭალელები რუსთაველებთან აქამდე არასდროს დამარცხებულან.

ორი დღეა, „მერანს" არ უვარჯიშია. გუშინ კი მთელი ხუთი საათის მანძილზე ანზორ მამალაძე, ოთარ გაბელია და ფედერაციის წარმომადგენელი ბადრი ქარქაშაძე ფეხბურთელების დაყოლიებას ცდილობდნენ, მაგრამ ავჭალური სარბიელი ისე დაცარიელდა, მოთამაშეებს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს.

„სამი თვის ხელფასი და ოთხი მოგებული თამაშის პრემია, ჯამში თითოეულს საშუალოდ 1500 ლარი გვერგება. მორჩა, მოთმინების ფიალა აივსო, ოჯახში ხმელა პური არ გვეგულება. დღეს რამე კონკრეტულს ველოდით. 6 ოქტომბერს ნუგზარ ნავაძეს სიტყვაზე ვენდეთ, მან 10 დღე ითხოვა ვითარების გამოსასწორებლად. 12 დღე გავიდა და ახლა გვეუბნებიან, 16 დეკემბრამდე გავისტუმრებთ დავალიანებასო. იმის ნაცვლად, რომ რამე საიმედო მოვისმინოთ, დისკვალიფიკაციით გვემუქრებიან. ჯერ ფედერაციაში საჩჩელი უნდა შეიტანოთ, იქ საქმეს გაარჩევენ, კლუბს ვალის დაუთქვამენ ვალის გადასახდელად და თუ საშველი არც ამის შემდეგ იქნება, თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა გუნდში წახვალთო, გვითხრა ქარქაშაძემ. გვესმის, რომ წესი და რიგი ასეთია, მაგრამ მთელი ეს პროცედურა დიდ დროს წაიღებს და გაგვაგებინეთ, ოჯახები რა სახსრებით შევინახოთ.

არაფერი გვაინტერესებს, რუსთავში სათამაშოდ აღარ მივდივართ, თუ დილით სათითაოდ არ დაგვირეკეს და კუთვნილი მიიღეთო, არ გვითხრეს" — ავჭალელთა მკაცრი ტონი ხელმძღვანელებს იმედის ნატამალსაც არ უტოვებდა.

ახლა „მერანის" პრეზიდენტ ანზორ მამალაძეს მოვუსმინოთ: „ენა როგორ მომიბრუნდება, ფეხბურთელები გავამტყუნო, მაგრამ ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს. თუ ბიჭებმა დღეს არ ითამაშეს, ფედერაციას სრული უფლება ექნება, „მერანი" გათამაშებიდან მოხსნას. კლუბი არსებობას შეწყვეტს და ფეხბურთელებს კუთვნილსაც არავინ აუნაზღაურებს. არადა, ავჭალაში ახალი სპონსორების მოზიდვის პერსპექტივა რეალურად იკვეთება. რუსთავში წაუსვლელობა და გუნდის დაშლა არ შეიძლება, ფეხბურთელები ასეთ შემთხვევაში დისკვალიფიკაციების გარდა სახეიროს ვერაფერს გამორჩებიან".

აქეთ „მერანია" გაჭირვებული, იქეთ „მეტალურგს" არ ულხინს, კიდევ ვინ ვერ გასწვდება საჩემპიონატო ხარჯებს, არავინ იცის. მოკლედ, გვარიანად შექანდა ისედაც მოფამფალებული ეროვნული პირველობა.

მამუკა ძვანტალიანი

# იტალია

სერგი ქორიძე



მარსელო სალასს დიდ თამაშში დიდი შანსი მიეცა

# გაჩუქეთ, გეყოთ!

## კუპერმა იუვენტუსი დააკნინა

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | - | რომა |
| ინტერი | - | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | - | მილანი |
| ბოლონია | - | ბრეშა |
| კომო | - | პიაჩენცა |
| ლაციო | - | პერუჯა |
| მოდენა | - | პარმა |
| ტორინო | - | კიევო |
| უდინეზე | - | რეჯინა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| მილანი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:1 | 10 |
| იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| ბოლონია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ემპოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| რომა | 4 | 2 | 0 | 2 | 9:7 | 6 |
| პარმა | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| კიევო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| პიაჩენცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| მოდენა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| ბრეშა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| პერუჯა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| რეჯინა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| კომო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| ატალანტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| ტორინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

**სერია A**-სა და მთლიანად ევროპის ცენტრალური მატჩი „სან სიროზე“ გაიმართება. „ინტერი“ „იუვენტუსს“ მასპინძლობს.

ექტორ რაულ კუპერის გუნდს ჯერჯერობით იდეალური შედეგი აქვს და საკუთარ კედლებში სამი ქულის მოპოვებას კვლავაც გეგმავს, მით უფრო, „იუვენტუსთან“, გუნდთან, რომელსაც, კუპერის თქმით, „ინტერმა“ თავად აჩუქა სკუდეტო წინა სეზონში.

„დიახ, „იუვენტუსმა“ თავად კი არ მოიგო, ჩვენ ვუძღვენით საჩუქრად, ჩვენ წავაგეთ“ — განაცხადა არგენტინელმა.

ბოლო ხანებში კუპერის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში არცთუ დამაჯერებელი თამაშისთვის აკრიტიკებენ. თუმც თავად არგენტინელის აზრით, მთავარი სწორედ დღევანდელი ბრძოლის მოგებაა. მარჩელო ლიპის გაწვრთნილებს კი ჩემპიონთა ლიგაში ჯერჯერობით პრობლემები არ შექმნიათ, ერთი ეგაა, შინაურ პირველობაზე ფრეებს გაუშინაურდნენ.

ტურინელებს მილანში დავიდ ტრეზეგესა და მარკო დი ვაიოს გარეშე მოუწევთ ჩასვლა, რაც მარსელო სალასს მისცემს შანსს. „იუვენტუსის“ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს ალესანდრო დელ პიეროც, ვინაც ჯარიმიდან რიკოშეტით გატანას დაეჩვია. თავის მხრივ „ინტერს“ ფრანჩესკო ტოლდო, კრისტიან ვიერი, მარკო მატერაცი და ფრანჩესკო კოკო გამოუჯანმრთელდა. ეს ფეხბურთელები იტალიის ნაკრებს ვერ დაეხმარნენ, სამაგიეროდ, „იუვესთან“ მატჩისთვის, ალბათ, მოედანზე იქნებიან.

„რომას“ ემპოლიში კვლავაც ტრავმირებული კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის გარეშე მოუწევს ჩასვლა. „ემპოლი“ შესანიშნავი სტარტის შემდეგ წინა ტურში „ბოლონიას“ დაუზავდა, თუმც ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში მაინც „რომაზე“ წინ დგას.

ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ატალანტას“ სამი ქულის წასაღებად კახა კალაძის „მილანი“ მთავარი გამტანი კაცით, ფილიპო ინძაგითურთ ეწვევა. „სუპერპიპომ“ ის ტრავმა მოირჩინა, რომელმაც უელსთან მატჩი გამოატოვებინა.

დაუმარცხებელი „ბოლონია“ ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ „ბრეშას“ თავისი 34 წლის ბეპე სინიორის გარეშე დაუხვდება. „ბრეშას“ თავდასხმაში კი ლუკა ტონის ადგილს ალბანელი იგლი ტარე დაიკავებს.

წინა ტურში „დელე ალპიდან“ ქულის წამლები „კომო“ ცხრილის შუაში გაჩხერილ „პიაჩენცას“ უმასპინძლებს და ოდნავ ზემოთ აცოცებასაც შეეცდება. „ინტერისგან“ 1:4 ნაგვემი „პიაჩენცა“ კი კომოს დისკვალიფიცირებული თავდამსხმელის, ბებერი მთავარმეგოლე დარიო უბნერის გარეშე ეწვევა.

„ლაციოს“ დიეგო სიმეონესა და დეიან სტანკოვიჩის გარეშეც არ უნდა გაუჭირდეს სამი ქულის ალება „პერუჯასთან“, მით უფრო, პერუჯელთა პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის სახალხოდ მომხდარი ჩხუბის შემდეგ. მწვრთნელმა კოზმიმ კლუბის უფროსობის არაკომპეტენტურობაზე ილაპარაკა, რასაც მასსა და პრეზიდენტ გაუჩის შორის კონფლიქტი მოჰყვა.

ბოლო ადგილზე მყოფ „ტორინოსთან“ „კიევო“ ჩადის. „ლაციოს“ მომგებ „კიევოს“ უქულო გუნდთან გამარჯვების ეიმედება.

სერია A-ში ახალგადასული „რეჯინა“ უდინეში ნაკამურას სტანდარტულების იმედადაა. მასპინძლებს კი მხოლოდ დისკვალიფიცირებული მცველი ტომას მანფრენდინი დააკლდებათ. მანფრედინიმ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია თავისი გუნდის „რომასთან“ 1:4 განადგურებისას მიიღო.

„მოდენას“ „პარმასთან“ საშინაო მატჩში იტალიის 21-წლამდელთა ლიდერი ჯუზეპე სკული დაეხმარება. სკულიმ იუგოსლაველ და უელსელ თანატოლებს ორ მატჩში 3 გოლი გაუტანა და ჩინებულ ფორმაშია. „პარმას“ სამი კვირის წინ „იუვესთან“ დისკვალიფიცირებული ადრიანო, საბრი ლამუში და ჟუნიორი დაუბრუნდება.

# ინგლისი

[illegible]

# მერსისაიდული საგა

## გარი, გმირი და თიაქარი

| X ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ვესტ ბრომვიჩი | ბირმინგემი |
| ბლექბერნი | ნიუკასლი |
| ევერტონი | არსენალი |
| ფულემი | მანჩესტერი |
| მანჩესტერ სიტი | ჩელსი |
| სანდერლენდი | ვესტ ჰემი |
| **ხვალ** | |
| ჩარლტონი | მიდლსბრო |
| ტოტენჰემი | ბოლტონი |
| **ზეგ** | |
| ასტონ ვილა | საუთჰემპტონი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 9 | 7 | 2 | 0 | 24:9 | 23 |
| ლივერპული | 9 | 6 | 3 | 0 | 19:8 | 21 |
| მიდლსბრო | 9 | 5 | 2 | 2 | 13:5 | 17 |
| მანჩესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 17 |
| ტოტენჰემი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 16 |
| ფულემი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 |
| ჩელსი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:12 | 13 |
| ნიუკასლი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 13 |
| ლიდსი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 12 |
| ბირმინგემი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ევერტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:14 | 11 |
| საუთჰემპტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 6:8 | 10 |
| ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 6:9 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:15 | 9 |
| სიტი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | 8 |
| სანდერლენდი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:13 | 8 |
| ბოლტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |
| ჩარლტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | 7 |
| ვესტ ჰემი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | 5 |

**ორი კვირა** ის დროა, მწვრთნელს ფიქრისთვის რომ ეყოს, ფეხბურთელს კი დასვენებისთვის, მაგრამ ინგლისური პრემიერლიგის კლუბთა მოთამაშეების განტვირთვაზე ლაპარაკი, ალბათ, არ ეგების — მათი დიდი ნაწილი ხომ სხვადასხვა ეროვნულ გუნდებში თამაშობს და ამ ორკვირიანი შესვენებისას ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩებშიც იბურთავეს.

მწვრთნელებს კი ამ უქმეებისთვის ტვინი ქორფად უნდა შემოენახათ და ვინძლო ამან რამდენიმე მოულოდნელი შედეგიც გამოაცხოს.

მთავარი მატჩები მერსისაიდელების მონაწილეობით ჩაივლის, უმთავრესი კი მაინც, ალბათ, „ლიდსი“ — „ლივერპულია“. ჟერარ ულიეს გუნდის მიზანი იორკშირელებისთვის მორიგი გაკვეთილის ჩატარებაა — წინა სეზონში „ლივერპულმა“ მეტოქე არც მეტი, არც ნაკლები, 4:0 გვემა.

ტერი ვენეიბლზის გაწვრთნილმა „ლიდსმა“ ბოლო სამი მატჩიდან ორი წააგო და ერთშიც უგოლო ფრეს დასჯერდა. ერთი სიტყვით, სექტემბერში „მანჩესტერ იუნაიტედს“ 1:0 რომ მოუგო, მას მერე თავი არ წამოუყვია.

„ელან როუდზე“ ერთი აღსანიშნავი ამბავიც მოხდება — ინგლისის ნაკრების ფორვარდები, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინ ერთ გუნდში იყვნენ, დღეს მეტოქეებად იქცევიან — ალან სმიტი და მაიკლ ოუენი.

რაც შეეხება ტრავმირებულებს, საეჭვოა ლივერპულელი სტივენ ჯერარდის თამაში, რომელმაც ოთხშაბათს, მაკედონიის ნაკრებთან მატჩში, თეძოს კუნთი იტკინა.

მეორე ლივერპულული გუნდი, „ევერტონი“ კი ცხრილის მწვერვალზე ამძვრალ „არსენალს“ მასპინძლობს. „ევერტონის“ რიგებში შესაძლოა გარი ნეისმიტმა ითამაშოს, რომელმაც შოტლანდიის ნაკრებისთვის წინა შაბათს გოლი გაიტანა. მერსისაიდელებს ორი მცველიც გამოუჯანმრთელდათ — ალესანდრო პისტონე და ალან სტაბსი — და იქნებ, ამათ „არსენალის“ შეტევების გამკლავებაში ივარგონ.

სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი დედაქალაქშია სტუმრად. მანჩესტერელები უნიათო სტარტის შემდეგ ერთობ მძლავრად ათამაშდნენ, თუმც დღეს რუუდ ვან ნისტელროის თამაში ერთობ საეჭვოა — მას ორთავე კუნთი აწუხებს.

ჯან ტიგანას „ფულემზე“ კი იმას გეტყვით, რომ ამ კლუბმა შვიდი ფეხბურთელი გაუშვა ორი კვირით სხვადასხვა ნაკრებებში, თანაც, ყველანი ძირითადის ხალხი.

მანჩესტერში ტური მაინც ჩატარდება — კევინ კიგანის „სიტი“ ორი კვირის წინ „საუთჰემპტონთან“ 0:2 დამარცხდა და რომ არა პიტერ შმაიხელის ჩაუქობა, სამარცხვინო ანგარიშითაც წააგებდა. ახლა კი „სიტის“ მეტოქე „ჩელსია“, რომელსაც ერთი თვეა, პრემიერლიგაში თამაში არ მოუგია. ლონდონელებს ჰოლანდიელი მარცხენაფლანგელი ბუდევინ ზენდენი არ ეყოლებათ — მან ჰოლანდია — ავსტრიის მატჩში მუხლი დაიზიანა.

„სანდერლენდი“ — „ვესტ ჰემი“ იმითაცაა საინტერესო, რომ მასპინძლებს თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელი კევინ ფილიპსი დაუბრუნდებათ, რომელიც თიაქრის ოპერაციის მერე მომჯობინდა. სამაგიეროდ, ვერ ითამაშებს შუახაზელი ჯეისონ მაკატირი, რომელმაც თიაქრის ოპერაცია ახლახან გადაიტანა.

ხოლო „ჩაქუჩებს“ ის გასჭირვებიათ, რომ ბოლო ადგილზე არიან და ბოლომდე ჯერაც ვერ გამოუჯანმრთელდათ ტრევორ სინკლერი და ფრედერიკ კანუ — მათი თამაში ერთობ საეჭვოა.

გლენ ჰოდლის სამწყსოში ვინძლო გუსტავო პოიეტიც გამოერიოს — ურუგვაელმა „ტოტენჰემის“ სარეზერვო გუნდში უკვე ითამაშა და იქნებ ახლა პირველ გუნდს დაუბრუნდეს მუხლის ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ.

სრულიად უელსის გმირი კრეიგ ბელამი დღეს ბლექბერნში ითამაშებს — ამ შემტევმა ოთხშაბათს გადამწყვეტი გოლი გაიტანა უელსი — იტალიის შეხვედრაში. თუმც მის გარდა „ნიუკასლს“ ალან შირერიც ჰყავს, ხოლო კირონ დაიერის თამაში სათუოა. „ბლექბერნს“ კი ის აქვს სანერვიულო, ითამაშებს თუ არა დემიენ დაფი.



კრეიგ ბელამი

# გერმანია

ვაკო ხუციშვილი

| IX ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| კოტბუსი | ჰერტა |
| მიუნხენ 1860 | შალკე |
| ჰამბურგი | გლადბახი |
| ჰანოვერი | ვერდერი |
| ჰანზა | ბაიერნი |
| ლევერკუზენი | ლაუტერნი |
| დორტმუნდი | არმინია |
| **ხვალ** | |
| ნიურნბერგი | შტუტგარტი |
| ბოხუმი | ვოლფსბურგი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 8 | 6 | 1 | 1 | 22:8 | 19 |
| დორტმუნდი | 8 | 4 | 4 | 0 | 12:5 | 16 |
| ვერდერი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:11 | 16 |
| შალკე | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 |
| ჰანზა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:6 | 13 |
| ვოლფსბურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 13 |
| ჰერტა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| გლადბახი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:6 | 11 |
| ბოხუმი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:14 | 11 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| შტუტგარტი | 8 | 2 | 4 | 2 | 14:11 | 10 |
| არმინია | 8 | 3 | 1 | 4 | 9:15 | 10 |
| ნიურნბერგი | 8 | 3 | 0 | 5 | 10:14 | 9 |
| ჰამბურგი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:15 | 9 |
| ლევერკუზენი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:16 | 8 |
| ჰანოვერი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | 7 |
| ლაუტერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 |
| კოტბუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:20 | 4 |

## ფრთხილად, ნიურნბერგი გატეხვას აპირებს!

დრო იყო, „ლევერკუზენი" და ოთხგზის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი" ცხრილის თავში ტრიალებდნენ. ახლა მათ ქვედა ნაწილიდან ამოსაძრომად უწევთ ბრძოლა.

ერიკ გერეტსის დამოძლვრილმა „ლაუტერნმა" წინა ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა, კლაუს ტოპმიოლერის გუნდი კი შარშანდელი სეზონის ანტიპოდია. მაშინ უსტაბილურესი ბუნდესგუნდი იყო, ახლა ყველაზე არასტაბილურია. მასპინძლებს დღეს დიმიტარ ბერბატოვი დააკლდებათ.

კოტბუსში ალმოსავლეთგერმანული დერბი გაიმართება. იქაურები დედაქალაქელ „ჰერტას" უმასპინძლებენ. ცუდად დაწყებული ჩემპიონატის შემდეგ ჰუუბ სტევენსმა ნელ-ნელა გამოასწორა „ჰერტას" თამაში, თუმც ბერლინელები „კოტბუსს" აქამდე ორჯერ ეწვივნენ და ორჯერვე დამარცხებულნი დაბრუნდნენ. მასპინძლებს ორი ფეხბურთელი არ ეყოლებათ, რიკ შრიოტერი და რობერტ ვაგნერი, ხოლო სტუმრები მწყობრში არიან.

მიუნხენელი „ლომები" გელზენკირხენულ „შალკეს" პოლონელი ნახევარმცველის რომან ტისის გარეშე დაუხვდებიან, ხოლო სტუმართა რიგებში შეიძლება პოლონელმა მცველმა ტომაშ ჰაიტომ ვერ ითამაშოს.

შეუძლოდაა „ჰამბურგის" ბოსნიელი ფორვარდი სერგი ბარბარესი, თუმცა მწვრთნელმა კურტ იარამ უთხრა, მზად უნდა იყო, შენი იმედი მაქვსო. „ჰამბურგის" მეტოქეს, მიოხენგლადბახის „ბორუსიას" ბელგიელი ფორვარდი პეტერ ვან ჰუდტი ალბათ დაისვენებს, რადგან ეროვნულ გუნდში იყო გამოძახებული. მის ნაცვლად შესაძლოა მარსელ კეტელაერმა ითამაშოს.

„ჰანოვერი" და „ვერდერი" ერთურთს ბოლოს 14 წლის წინ შეხვდნენ. მასპინძლებს სენეგალელი მცველი დამე დიუფი დააკლდებათ, სტუმრებს დანაკლისი არ აქვთ, თუმცა ექვსმა ფეხბურთელმა თავ-თავის ნაკრებში ითამაშა და გადაღლილია.

ზედიზედ ორი სეზონია, როსტოკში „ჰანზა" მიუნხენის „ბაიერნს" ამწარებს. როსტოკელები ამჯერადაც სრულ მზადყოფნაში დაუხვდებიან ბუნდესლიდერს. სტუმართა გუნდში ტრავმამოშუშებული მეჰმეთ შოლის გამოჩენაა მოსალოდნელი.


სერგი ბარბარესს (შუაში) „ჰამბურგი" ავადმყოფსაც არ ეშვება

მათიას ზამერმა იცის, რომ ბელეფილდელი სტუმრები ქულისთვის იბრძოლებენ და ყრუ დაცვაში ჩაეფლობიან. ამიტომ მწვრთნელი დღეს მარსიო ამორუზოს ნაცვლად ძირითადში ალბათ ევერტონს გაამწესებს, რადგან, ზამერის აზრით, ევერტონს გოლის გასატანად პატარა სივრცეც ჰყოფნის.

„არმინიას" კი ვერ დაეხმარებიან ბრაზილიელი მცველი მარსიო ბორგესი და ხორვატი მეგოლე ილია არაჩიჩი.

რვა წელიწადია, „ნიურნბერგს" შინ „შტუტგარტთან" არ მოუგია. მასპინძლები ამჯერად შეეცდებიან ნავსის გატეხვას, თუმც ბრწყინვალე ფორმაში მყოფი კევინ კურანის შეჩერება ერთობ გაუჭირდებათ. კურანის გოლი გოლზე გააქვს და მასზე უკვე დაიგეშნენ ევროგრანდები, მაგრამ ფელიქს მაგათი მის გაშვებას არსად აპირებს.

ნელ-ნელა უკლო „ბოხუმმა", რომელმაც სეზონი რიხით დაიწყო. დღეს მასპინძლები მცველ მირკო დიკჰაუტს მოისაკლისებენ, ვოლფსბურგელი სტუმრები კი, შტეფან ეფენბერგიანად, „ლევერკუზენის" დამარცხების შემდეგ დიდ გულზე არიან.

# ესპანეთი

გიორგი დარხანია

## ჩვენ ვიკითხოთ!

### იმათ დენიც აქვთ და დენიოც ჰყავთ

| VI ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| რასინგი | რეალი |
| ვილიარეალი | დეპორტივო |
| ატლეტიკო | ვალენსია |
| **ხვალ** | |
| ვალიადოლიდი | ბარსელონა |
| სელტა | რაიო ვალეკანო |
| ბილბაო | მალაგა |
| ესპანიოლი | უელვა |
| ბეტისი | მალიორკა |
| ოსასუნა | სევილია |
| ალავესი | სოსიედადი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| სოსიედადი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:9 | 13 |
| რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 11 |
| ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| ბეტისი | 5 | 2 | 3 | 0 | 12:7 | 9 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| რასინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ვალიადოლიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ატლეტიკო | 5 | 1 | 3 | 1 | 9:7 | 6 |
| მალიორკა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| რაიო | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| სევილია | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| ალავესი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ბილბაო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ვილიარეალი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| ოსასუნა | 5 | 0 | 2 | 3 | 8:13 | 2 |
| უელვა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |
| ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |

**რა კაცი ყოფილა** რეინალდ დენიო — შარშან საფრანგეთში „ნანტი" გააჩემპიონა, ახლა კი „რეალ სოსიედადს" ისე ათამაშებს, ნაღდად რაღაც განსაკუთრებულის მიღწევას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა, წინა ორ სეზონში წყალწაღებული გუნდი, რომელიც სრულიად გაუგებარია, როგორ გადაურჩა გავარდნას, ახლა პრიმერადივიზიონის ლიდერია — უფრო სწორად, ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება „სელტას".

54 წლის ფრანგს ამ ჯერზე გუნდი ვიტორიაში მიჰყავს ბასკურივე „ალავესთან" გასაჯიბრებლად. ალავესელებს უეჭველად დიდი ჯაფა დაადგებათ, რადგან დენიომ იუგოსლაველი დარკო კოვაჩევიჩისგან და თურქი ნიჰათ კაჰვეჩისგან ესპანეთში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი წყვილი შექმნა. ამ ორმა უკვე ცხრა გოლი მიითვალა. ამათ გარდა გუნდში არიან რუსი ვალერი კარპინი და იმედისმომცემი ბასკი ხაბი ალონსო, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ სოსიედადელთა შეტევის ხაზს. შედარებით სუსტია ბასკთა დაცვა, თუმც იქაური ფანები ახლანდელ გუნდს უკვე ადარებენ ადრეული 80-იანი წლების შემადგენლობას, რომელმაც ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი.

„ალავესი" ისე ყოჩაღად ველარაა, ორი სეზონის წინ რომ იყო, თუმცა „სოსიედადთან" მატჩისას ტრავმამოშუშებული ხორდი კრუიფი დაუბრუნდება და ეს ცოტას როდი ნიშნავს.

დიდი მატჩია მადრიდში, სადაც დივიზიონში ახლადდაბრუნებული და ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხული „ატლეტიკო" ჩემპიონ „ვალენსიას" დაუხვდება. წინა ტურში ორივე გუნდმა სეზონში პირველი მარცხი იწვნიეს დრამატულ შეხვედრებში: „ატლეტიკოს" „მალაგასთან" (1:3) სამი ფეხბურთელი გაუძევეს — მეკარე ესტებანი, ემერსონი და დემეტრიო ალბერტინი, რომლებიც ამ ტურში, ცხადია, ვერ ითამაშებენ, ხოლო „ვალენსია" „სელტასთან" ორი ვერგატანილი პენალტის გამოისობით დამარცხდა.

„რეალი" სანტანდერში ჩავიდა და რაული და ფიგუ კი არ იახლა — ორივე დაშავებულია. სამაგიეროდ, ალბათ, სასტარტო შემადგენლობაში იქნება რონალდო. რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, „რეალს" მარტის მერე პრიმერადივიზიონში სტუმრად არ მოუგია. „რასინგის" შემადგენლობაში კი თამაშობს პედრო მუნიტისი, რომელიც კანტაბრიელებს „რეალისგან" იჯარით ჰყავთ აყვანილი და ძველ მეგობრებს შეხვდება.

უცნაური გუნდია „დეპორტივო" — სტუმრად უკეთ თამაშობს ვიდრე შინ, არადა, ცოტა ხნის წინ მშობლიურ „რიასორზე" ყველა დაუმარცხებლად თვლიდა და ასეც იყო. ლაკორუნიელებს ამ ტურში სწორედ სტუმრად თამაში ელით და ფავორიტადაც ითვლებიან. ბენიტო ფლოროს „ვილიარეალს" ამ სეზონში ჯერ თამაში არ მოუგია. გალისიელთა მეკარის, ხოსე მოლინას სიმსივნესთან დაკავშირებულ ახალ ცნობებს კი დღევანდელ „სარბიელში" ცალკე ამბად გაცნობებთ.

„ბილბაო" ლიდერთა მარაქაში გარეულ „მალაგას" მასპინძლობს და იოლი მატჩი როდი ელის. „მალაგა" კარგად ორგანიზებული გუნდია და როცა კიკი მუსამპა, დელი ვალდესი და დარიო სილვა ფორმაში არიან, მისი დამარცხება ურთულესი საქმეა. ეს სამეული კი სწორედ რომ საუკეთესო ფორმაში არიან.

„სელტა" ლიდერია და წინა ტურში „ვალენსიაც" დაამარცხა, მაგრამ მწვრთნელ მიგელ ანხელ ლოტინას ფეხბურთელები შეუხურებია, მთელი სეზონი წინაა და არ გაყოყლოჩინდეთო. ვიგოელები „რაიო ვალეკანოს" სავარაუდოდ დიეგო კატანიასა და ფრანგი პეტერ ლუქსენის გარეშე დაუხვდებიან, ხოლო „რაიოს" ჯერჯერობით სატრაბახო არაფერი აქვს.

„ბარსელონა" ვალიადოლიდში თამაშობს და საფიქრებელია, ლუის ვან გაალმა ცვლილებები შეიტანოს იმ შემადგენლობაში, რომელმაც წინა ტურში „კამპ ნოუზე" „ოსასუნას" ვერაფერი მოუხერხა (2:2). ხუან რომან რიკელმეს, ვისაც მწვრთნელთან კონფლიქტი მოუვიდა და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის, ალბათ, შანსი მიეცემა, ისევე როგორც მარკ ოვერმარსსა და პატრიკ ანდერსონს.

ეს ორი კაცი, მოგეხსენებათ, ლამის უხსოვარ დროს დაიმტერნენ, რის გამოც მათი დაბრუნება ერთი-ორად საინტერესო საყურებელი უნდა იყოს.


პატრიკ ანდერსონი დეკემბრის მერე ექიმების ხელში იყო

# ალენ დელორონმა დუბლი გააკეთა



ფრანსისკო არსე

## ბრაზილია

19-ე ტური: პალმეირასი — გუარანი 4:2; ბოტაფოგო — ვიტორია 1:4; ატლ. მინეირო — სან კაეტანო 2:1; პაისანდუ — პარანა 3:1; ვასკუ და გამა — ფლამენგო 2:1; კურიტიბა — გრემიო 0:0; ინტერნასიონალი — გოიასი 1:2; ფიგეირენსე — ატლ. პარანენსე 3:2; გამა — ჟუვენტუდე 1:0; სან პაულუ — სანტოსი 3:2; ბაია — პონტე პრეტა 2:1

„პალმეირასი", ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი, როგორც იქნა დაიძრა ბოლო ადგილიდან. მან სტუმრად 4:2 სძლია „გუარანის" იმ მატჩში, რომელშიც ორივე მწვრთნელი გააძევეს.

როგორც იქნა, „პალმეირასმა" შეწყვიტა საშინლად მარცხიანი სერია და შესვენებაზე ოთხგოლიანი მარაგით გავიდა. ეს უპასუხო გოლები ჟუნინიომ, ფრანსისკო არსემ, იტამარმა და სეზარმა გაიტანეს.

აქ უნდა ითქვას, რომ პარაგვაელი არსეს მიერ გატანილი პენალტი სადაო იყო, თუმცა ამ კაცმა ორი საგოლე პასიც გააკეთა.

მეორე ტაიმში „გუარანი" გამოფხიზლდა და ათ წუთში ორი საპასუხო გოლის გატანა მოახერხა (სერჟიო ალვესი, ადრიანო). თამაშიც ამ დროიდან დაიძაბა. „პალმეირასის" მწვრთნელი ლევირ კულპი მოედნის კიდიდან ჩხუბისთვის მიაბრძანეს და მას წამსვე მიაყოლეს „გუარანის" თავკაცი ჟაირ პიკერნი. ორ წუთში ორი ყვითლისათვის და ერთიდაიგივე მოთამაშის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააძევეს მასპინძელთა ნახევარმცველი ოტასელიუ, ჯამში კი ცხრა ყვითელი ბარათი აფრიალდა.

„პალმეირასი" 25-ე ადგილზე აცოცდა, „გუარანი" კი კვლავაც მეექვსეზეა. მერვე პლეი ოფში გამსვლელ ბოლო საფეხურზე აცოცდა „ვიტორია", რომელმაც 4:1 მოუგო არეულ „ბოტაფოგოს", ვიქტორ უგო არისტისაბალისა და ალენ დელონის წყვილი დუბლის წყალობით. ახალი მწვრთნელის, ივო ვორტმანის ხელქვეით „ბოტამ" ექსიდან პირველი თამაში წააგო და მეჩვიდმეტე ადგილზეა, თუმცა კვლავაც აქვს შანსი სანუკვარ პლეი ოფს უწიოს.

### ტასინტუ დუ რაბიდაგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 19 | 10 | 4 | 5 | 38:26 | 34 |
| სან კაეტანო | 18 | 10 | 2 | 6 | 29:19 | 32 |
| სანტოსი | 18 | 9 | 5 | 4 | 35:25 | 32 |
| ჟუვენტუდე | 18 | 9 | 4 | 5 | 21:14 | 31 |
| კორინთიანსი | 17 | 9 | 4 | 4 | 26:26 | 31 |
| გუარანი | 17 | 8 | 4 | 4 | 23:19 | 28 |
| ვიტორია | 18 | 8 | 3 | 7 | 33:28 | 27 |
| კურიტიბა | 17 | 8 | 3 | 6 | 23:18 | 27 |
| ატლ. მინეირო | 18 | 8 | 3 | 7 | 32:29 | 27 |
| პონტე პრეტა | 17 | 8 | 2 | 7 | 23:19 | 26 |
| ფიგეირენსე | 17 | 7 | 3 | 7 | 24:29 | 24 |
| ატლ. პარანენსე | 18 | 6 | 6 | 6 | 26:21 | 24 |
| გრემიო | 17 | 6 | 6 | 5 | 25:21 | 24 |
| კრუზეირო | 17 | 6 | 5 | 6 | 24:28 | 23 |
| გამა | 19 | 6 | 4 | 9 | 18:24 | 22 |
| ინტერნასიონალი | 17 | 5 | 7 | 5 | 26:25 | 22 |
| ბოტაფოგო | 18 | 5 | 7 | 6 | 19:26 | 22 |
| ბაია | 18 | 6 | 3 | 9 | 25:29 | 21 |
| ფლუმინენსე | 16 | 6 | 3 | 7 | 26:33 | 21 |
| ვასკუ და გამა | 17 | 6 | 2 | 9 | 22:25 | 20 |
| გოიასი | 18 | 5 | 5 | 8 | 29:33 | 20 |
| პორტუგეზა | 17 | 5 | 5 | 7 | 16:23 | 20 |
| პაისანდუ | 17 | 6 | 1 | 10 | 25:34 | 19 |
| ფლამენგო | 17 | 5 | 4 | 8 | 28:28 | 19 |
| პალმეირასი | 17 | 4 | 7 | 8 | 26:37 | 19 |
| პარანა | 17 | 5 | 2 | 10 | 27:30 | 17 |



ჰოლანდიური „ფეიენოორდის" მეგოლე პიერ ვან ჰოიდონკი ერთი თვით მწყობრიდან გამოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფორვარდი დეკუიპელებს ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის დასკვნით სამ ტურში ვერ დაეხმარება. სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ მას მარჯვენა ფეხის ბარძაყი დაუზიანდა, ტრავმა კი „აიაქსთან" საშინაო მატჩისას მიიღო, როცა როტერდამელებმა დედაქალაქელებთან 1:2 წააგეს.

იტალიური „ლაციოს" პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი კლუბის იუგოსლაველ ლეგიონერ დეიან სტანკოვიჩს ვერ ელევა. „დეიანის გაყიდვით ჩვენ ფინანსურ პრობლემებს მოვაგვარებდით, მაგრამ იგი გუნდის ლიდერია და მისი დაკარგვა „ლაციოზე" უარყოფითად იმოქმედებს" — თქვა კრანიოტიმ.

რუსული „ზენიტი" უეფამ 10 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. საქმე ის არის, რომ პეტერბურგელმა გულშემატკივრებმა უეფას თასის საპასუხო მატჩისას, „გრასჰოპერთან", პიროტექნიკა გამოიყენეს და სტადიონზე პლასტმასის სკამებსაც ლაწალუწი აუტეხეს.

არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო კანიჯა იმედოვნებს, რომ მისი ამჟამინდელი კლუბი გლაზგოს „რეინჯერსი" კონტრაქტს გაუხანგრძლივებს. მისი კლუბთან თანამშრომლობის ვადა მომავალი წლის ზაფხულში იწურება. 35 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ კლუბის თავმჯდომარე ჯონ მაკლოლანდს შეხვდა და კონტრაქტის გაგრძელებაზე წინასწარ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია.

ნორვეგიის ნაკრებისა და „ლივერპულის" ერთ-ერთმა ლიდერს იონ არნე რიისეს ტანზე სილურჯეები აღმოაჩინა. ეს ბოსნიასთან მატჩის შემდეგ მოხდა, როცა ნორვეგიელ გულშემატკივრებს სახიფათოდ მიუახლოვდა. „მესმის, რომ მათ სიყვარული გამოხატეს, მაგრამ აშკარად გადააჭარბეს, თუმც, რა საკვირველია, განაწყენებული არ ვარ" — განაცხადა რიისემ. აი, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია კი სტუმარი გუნდის გულშემატკივრებზე ბრაზობს. მატჩის დროს ისინი თურმე მობილურ ტელეფონებს და ბოთლებს ისროდნენ. „იმედია, უეფა ყურადღებას მიაქცევს ამ ფაქტს. ჩვენი გულშემატკივრები ღირსეულად იქცეოდნენ, აი, სტუმრები კი გამომწვევად და ამაზრზენად ქომაგობდნენ ბოსნიის ნაკრებს" — თქვა ფედერაციის პრესატაშემ.

საფრანგეთის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი ალენ ბოგოსიანი ნაკრებში აღარ ითამაშებს. „მე ბედნიერი ვიყავი ჩემი სამშობლოს უპირველეს გუნდში თამაშით, მაგრამ ახლა ახალგაზრდებს უნდა დავუთმო გზა, რომლებიც ტიტულების მოგების სურვილით არიან დამუხტულნი" — განაცხადა „ესპანიოლის" 31 წლის ნახევარმცველმა. ბოგოსიანს 26 სანაკრებო თამაშში ორი გოლი აქვს გატანილი. სომხური წარმოშობის ფეხბურთელს თავის დროზე ისტორიული სამშობლოს ეროვნულ გუნდშიც იწვევდნენ, თუმცა მან ახალი სამშობლოს ნაკრები არჩია და არც შემცდარა, იგი 1998 და 2000 წელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა. ფეხბურთელი ბოლო სანაკრებო მატჩს 5 ნოემბერს ჩაატარებს.

იტალიურ სუპერკლუბის მილანის „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ მიხაელ ბალაკის შეძენის სურვილი გამოთქვა. „მე იგი ძალიან მომწონს, შესანიშნავი ფეხბურთელია. მსურს, ბალაკი „ინტერის" რიგებში ვიხილო, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას წლეულს გადმოვიბირებთ" — თქვა მორატიმ. იტალიური მედიის ცნობით, „ნერო-ადზური" ბალაკის ამჟამინდელ კლუბ „ბაიერნს" 50 მილიონ ევროს შესთავაზებს. რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, მან რამდენიმე ხნის წინ გერმანულ „ბილდს" განუცხადა, რომ 2006 წლამდე სამშობლოს დატოვებას არ აპირებს.

ხორვატ ფეხბურთელ ჯოვანი როსოს, რომელიც ებრაულ ჰაიფას „მაკაბში" თამაშობს, ისრაელის მოქალაქეობის მიღება სურს. ფეხბურთელის განცხადებით, გულში ისრაელის ნაკრებში თამაში ამოუჭრია, თუმც ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრო მოქალაქეობის მიღებაზე უარს ეუბნება, რადგან მას ისრაელში ცხოვრების სტაჟი არ ჰყოფნის. როსო კი 30 წლისაა და სანამ საჭმარის წლებს დააგროვებს, მისი მატარებელიც ჩაივლის. „რაც შეიძლება მალე უნდა მოვაგვარო მოქალაქეობის საკითხი. მიწვევა მქონდა ხორვატიის ნაკრებიდანაც, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან მსურს, ისრაელის ნაკრების მაისურით ვითამაშო" — განაცხადა ფეხბურთელმა.

ინგლისის პირველი დივიზიონის „მილუოლი" შოტლანდიის ჩემპიონატში მოთამაშე უკრაინული ფეხბურთელის, სერგეი ბალტაჩას გადაბირებას ცდილობს. 22 წლის ბალტაჩა, წარსულში სსრკ-სა და კიევის „დინამოს" ცნობილი ფეხბურთელის სერგეი ბალტაჩას შვილია, ამჟამად კი „სენტ მირენში" თამაშობს. ბალტაჩამ თქვა, მიხარია, ლონდონელი „ლომების" თვალთახედვის არეში რომ მოვექეციო.

თურქული „ფენერბაჩეს" ებრაელ ლეგიონერ ხაიმ რევივოს კლუბზე გული აცრუებია. „მე უფრო და უფრო იშვიათად გავდივარ მინდორზე, ისიც მხოლოდ შეცვლაზე" — თქვა რევიეომ. ფეხბურთელს კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება, თუმც ზამთარშივე აპირებს კლუბის გამოცვლას. იგი თავისი ყოფილი გუნდის, „სელტას" ხელმძღვანელობასთან აპირებს შეხვედრას. შეგახსენებთ, რომ თურქულ გუნდს იგი სწორედ გალისიური კლუბიდან შეუერთდა.

ხორვატული „დინამოს" მთავარ მწვრთნელ ცირო ბლაჟევიჩის აზრით, ფეხბურთელების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. მან ზაგრების კათოლიკურ ეკლესიას მიმართა თხოვნით, რათა მათ კლუბს სულიერი მოძღვარი მიუჩინონ. „იმედია, ეკლესია გაგებით მოეკიდება ჩემს თხოვნას და მოძღვარს დაგვითმობს" — თქვა ღრმადმორწმუნე ბლაჟევიჩმა.

# ბერძნული სიბრძნე
## ჯერ ფული, მერე ფეხბურთი

ევროპულ ფეხბურთში გამეფებულმა ფინანსურმა კრიზისმა არც საბერძნეთს აუარა გვერდი. ბერძნულ ფეხბურთში არსებული პრობლემები არახალია — საქმე ისევ და ისევ საფეხბურთო მატჩების სატელევიზიო ტრანსლირებას ეხება. კომპანია „ალფა დიჯიტალმა" თამაშების ტრანსლაციის უფლების შეძენაზე, ფინანსური სიდუხჭირის გამო, უარი განაცხადა, რამაც თავის მხრივ საგრძნობლად შეათხელა ბერძნულ კლუბთა ბიუჯეტი. მოკლედ ყველაფერი ისეა, როგორც დანარჩენ ევროპაში.

ყოველივე ზემოხსენებულის შედეგად კლუბებმა ჩემპიონატის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს და ერთთვიანი იძულებითი შვებულება მოიწყვეს, რასაც, რომც არ დაგვეწერა, ტოტალიზატორებში ბერძნული კოეფიციენტების არარსებობით შენიშნავდით.

გაფიცვამდე ბერძნულმა კლუბებმა კრიზისის დაძლევის უკანასკნელი გზაც მოსინჯეს, დახმარებისთვის ქვეყნის ხელისუფლებას მიმართეს. მაგრამ საბერძნეთის კულტურის მინისტრმა შორს დაიჭირა და განაცხადა, ფეხბურთში არსებული პრობლემები მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგად არ წარმოშობილა, ამიტომ მთავრობა მეხანძრის როლის შესრულებას არ აპირებსო.

აქ უპრიანია გავიხსენოთ, რომ შარშან საბერძნეთის ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მაქინაციებში დაადანაშაულა, ფედერაცია კი ფიფას ზურგს ამოეფარა. ჰოდა, მინისტრს პასუხის გაცემისას, ალბათ, ძველი წყენაც ახსოვდა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბერძნებს, თურქებთან ერთად, დიდი სურვილი აქვთ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის თანამასპინძლობისა, თუმცა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო მათი სურვილი ალბათ, სურვილადვე დარჩება. თანაც, მათდა საუბედუროდ, უეფას ინსპექტორების სტუმრობა სწორედ კლუბთა გაფიცვის პერიოდს დაემთხვა და ალბათ, არავის გაუჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით უეფას გადაწყვეტილების გამოცნობა.

ბერძნული ფეხბურთი ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს. რაკი მთავრობაში კოვზი ჩაუვარდათ და ფედერაციაც ვერ ყოჩაღობს, კლუბთა თავკაცებმა რეფორმის განხორციელება საკუთარ თავზე აიღეს. მათ ერთობლივი შეხვედრა მოაწყვეს და ფეხბურთის განვითარების პროექტი შეიმუშავეს, რომლის არსიც ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთ-ერთი უმთავრესი სახეობის მენეჯმენტის გაუმჯობესება; ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც გაზრდის კლუბების მოგებას; ფეხბურთისთვის პროფესიული სპორტის სახეობის სტატუსის შენარჩუნება. ამ ბუნდოვანი ფორმულირების უკან რამე ჭკვიანური თუ იმალება, ხომ კარგი, თუ არადა...

აღნიშნული პროექტი უახლოეს დღეებში წარედგინება სახელმწიფო სპორტის დეპარტამენტს და დამტკიცების შემთხვევაში 2003 წლიდან ამოქმედდება.

ნინო ჭადაგიშვილი

# მოლინამ პალოპს ვერ უშველა
## რუშთუმ ძალიან შორს გაიხედა

ხოსე ფრანსისკო მოლინას დაკარგვისთანავე —მოგეხსენებათ, მეკარე სიმსივნეს მკურნალობს — „დეპორტივო" ახალი მეკარის მოსაძებნად დაფაცურდა.

თავიდან „ვალენსიას" სათადარიგო გოლკიპერ ანდრეს პალოპის „რიასორზე" დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ. პალოპი „ვალენსიაში" სწორედ „დეპორტივოდან" გადავიდა, ერთ ხანს „ვალენსიას" „ვილიარეალში" ჰყავდა განათხოვრებული, დღესდღეობით კი ესპანეთის ჩემპიონის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი თითქმის არცა აქვს — ხელს სანტიაგო კანისარესი უშლის.

„დეპორტივო" და „ვალენსია" ტრანსფერის გასაჩარხავად თითქოს მზადაც იყვნენ, როდესაც გალისიელთა ბანაკიდან ახალი ცნობა გავრცელდა. ამჯერად „დეპორტივოში" „ფენერბაჩესა" და თურქეთის ნაკრების მეკარე რუშთუზე ალაპარაკდნენ.

თურქული მხარის თქმით, რუშთუ ესპანეთში გადაბარგების წინააღმდეგი სულაც არ არის. ესპანური მხარე კი აცხადებს, რომ უეფას თხოვნით მიმართავს, რათა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ კლუბებს ტრანსფერის განხორციელების ნება ახლავე დართოს (როგორც იცით, სატრანსფერო ფანჯარა იანვრამდე დახურულია).

თავად მოლინას საქმე კი უკეთესადაა, ვიდრე ფიქრობდნენ. კლუბის ექიმის თქმით, მეკარე ოთხ თვეში გამოჯანმრთელდება და მინდორზეც გავა.

სერგი ქორიძე





რუშთუს მოლინის ადგილს უმზადებენ

## ესპანეთი

### თასის 1/16 ფინალის წილისყრა

| | |
|---|---|
| ალიკანტე | ვალენსია |
| ალმერია | უელვა |
| ლეონესა | ატლეტიკო |
| ეიბარი | ოსასუნა |
| ხეტაფე | ვალიადოლიდი |
| ერკულესი | მალიორკა |
| ლინარესი | სევილია |
| მურსია | ბადახოსი |
| ნოველდა | ტერასა |
| ნუმანსია | სელტა |
| პალამოსი | ბეტისი |
| ფეროლი | დეპორტივო |
| ოვიედო | რეალი |
| ირუნი | ბილბაო |
| სარაგოსა | ალავესი |
| ხერესი | მალაგა |

მატჩები გაიმართება 6 ნოემბერს

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები. გარანტია
ზევსი Billjardai
ტიტანი მასტერი
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი. უზნაძის ქ. 2

# გორგასლის გზა

# GEORGIAN 1989 LELOS 2002

# ზიმბაბვედან რუსეთამდე





აი, ასრულდა მრავალთაგან ერთადერთი ნაოცნებარი — ქართველი მორაგბეები მსოფლიო თასზე ითამაშებენ.

საქართველოში ორმოც წელიწადზე მეტია, რაგბის თამაშობენ, მაგრამ ახლა, ჩვენს თვალწინ იქცა ეს თამაში ნამდვილ სახალხო თამაშად, ათასების და ათიათასების ინტერესად და იმედად.

ქართულ რაგბის თვითმყოფადი, რაინდული ისტორია აქვს. მას დიდი, დაუვიწყარი და ნამდვილი ბრძოლები გადაუხდია საბჭოთა ცხოვრებაში. იმ დროში ალბათ წარმოუდგენელიც იქნებოდა იმაზე ოცნება, რომ საქართველოს ეყოლებოდა ეროვნული ნაკრები და ეს ნაკრები ხალხის დიდ სიხარულად, ღირსების და უნარის გამომხატველად, სამაგალითო ერთობად იქცეოდა.

ეს მოხდა და ამაზე კარგიც არაფერი მომხდარა.

შრომა, სწავლა და ჯიგარი — აი, ჩვენს მორაგბეთა რეცეპტი.

# მსოფლიოს თასი 2003. ავსტრალია. 10 ოქტომბერი-22 ნოემბერი




მსოფლიოს თასის მეხუთე გათამაშება 2003 წლის შემოდგომაზე ავსტრალიაში გაიმართება. 20 ნაკრები 4 ხუთგუნდა ჯგუფში განაწილდება. ჯგუფში ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გადის.

ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაუშვეს 1999 წლის მსოფლიოს თასის მეოთხედფინალისტები: ავსტრალია, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, უელსი, არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია.

დანარჩენი მონაწილენი შესარჩევმა ტურნირებმა გამოავლინა. თუმც გასარკვევი დარჩა ბოლო ორი საგზურის მფლობელის ვინაობა, რომელთაც რეპეშაჟი (სანუგეშო ტურნირი) დაასახელებს. სარეპეშაჟო ტურნირი შინ და სტუმრად პრინციპით მოეწყობა, ანუ გუნდები ორმატჩიან დუელში გაარკვევენ ურთიერთობას. რეპეშაჟი 1-ში მდგომარეობა ასეთია: რუსეთ — ესპანეთს შორის გამარჯვებული ტუნისს შეხვდება, ამათში უკეთესი კი აშშ-ს. რეპეშაჟი 2: პაპუა ახალი გვინეა ან კუკის კუნძულები, ტონგა, სამხრეთ კორეა

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ავსტრალია | სამხრეთ აფრიკა |
| არგენტინა | ინგლისი |
| ირლანდია | სამოა |
| რუმინეთი | ურუგვაი |
| ნამიბია | საქართველო |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| საფრანგეთი | ახალი ზელანდია |
| შოტლანდია | უელსი |
| ფიჯი | კანადა |
| იაპონია | იტალია |
| რეპეშაჟი 1 | რეპეშაჟი 2 |

## ჩვენი ჯგუფის განრიგი

11 ოქტომბერი
**სამხრეთ აფრიკა — ურუგვაი** *(პერტი, სუბიაკო ოვალი)*

12 ოქტომბერი
**საქართველო — ინგლისი** *(პერტი, სუბიაკო ოვალი)*

15 ოქტომბერი
**სამოა — ურუგვაი** *(პერტი, სუბიაკო ოვალი)*

18 ოქტომბერი
**სამხრეთ აფრიკა — ინგლისი** *(პერტი, სუბიაკო ოვალი)*

19 ოქტომბერი
**საქართველო — სამოა** *(პერტი, სუბიაკო ოვალი)*

24 ოქტომბერი
**საქართველო — სამხრეთ აფრიკა** *(სიდნეი, ოზი სთედიუმი)*

26 ოქტომბერი
**ინგლისი — სამოა** *(მელბურნი, კოლონიალ სთედიუმი)*

28 ოქტომბერი
**საქართველო — ურუგვაი** *(სიდნეი, ოზი სთედიუმი)*

1 ნოემბერი
**სამხრეთ აფრიკა — სამოა** *(ბრისბენი, ბელიმორი)*

2 ნოემბერი
**ინგლისი — ურუგვაი** *(ბრისბენი, ბელიმორი)*



## კლაივ ვუდვორდი

*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი*

ძალიან გამიხარდა, რომ ჯგუფში პირველ მეტოქედ საქართველო გვერგო. ქართველები მსოფლიოს თასზე თამაშის ღირსნი არიან. დიდ პატივს ვცემ ჩვენს მეტოქეს, მათ ეს დაიმსახურეს.

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის ზსუნებისას უპირველესად გადაჯარღნილი აპარტეიდი და რაგბი მოგაგონდება. იქ ოვალური ბურთი წმიდათაწმიდა საგანია.

დღეს სამხრეთაფრიკული რაგბი კრიზისშია. ფრანსუა პინარის, მარიუს ჟუბერის, ვან დერ ვესტჰოიზენისა და კრის როსოუს მიერ 1995 წელს მოგებულ მსოფლიოს თასს მომდევნო თაობამ ვერ მოუარა და პლანეტის უპირველეს გუნდობას ვინ ჩივის, ოთხი წელია „ქურციკებმა" სამი ერის ფსკერს ვერ დააღწიეს თავი.

მწვრთნელების ხელთათმანებივით ცვლის შემდეგ ახლა რუდი სტრაულის ჟამი დადგა. ეს ახალგაზრდა კაცი მსოფლიოს თასის მომგები „ოქროს თაობის" წარმომადგენელია.

სხვათა შორის, „ქურციკები" და ბორჯღალოსნები კარგად იცნობენ ერთმანეთს. შარშან სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრები რომ ჩამოვიდა თბილისში, იმ გუნდიდან პირველ ნაკრებში რვა მორაგბეა: რიკარდო ლუბშერი, დიონ კაიზერი, იანეს ლაბუსხანი, კვინტონ დევიდსი, ფაან რაუტენბახი, მარიუს ჟუბერი, იოანეს კონრადი, ვილი ჰუმანი.

თუ „ქურციკები" გაისად, სულ ცოტა, ნახევარფინალში ვერ გავლენ, სამხრეთ აფრიკაში ეს ტრაგედია იქნება. იქაურებს სტრაულის ეიმედებათ, რომელიც გაიძახის, მოსავალს შემოდგომაზე ავიღებთო. სტრაულისეულ ნაკრებში უდავო ლიდერები კაპიტანი კორნე კრიგე და ბეკი ანდრე პრეტორიუსი არიან.



სამხრეთ აფრიკის ანდრე პრეტორიუსის ლელოები ძალიან დასჭირდება

## ინგლისი

ზღაპარია თუ ნამდვილი, ასეთი ვერსიაც არსებობს: თურმე შუა ფეხბურთის მატჩისას ერთმა მოთამაშემ ბურთი ხელით აიღო, მკერდში ჩაიკრა და გაიქცა. მას მერე, დაახლოებით 140 წელიწადია, ფეხბურთისა და რაგბის გზები აღარ გადაკვეთილა.

არადა, ინგლისი ამ ორივე სახეობის სამშობლოა — რაგბი ხომ მთლად იქაური ქალაქის სახელია — მაგრამ, ჩვენგან და ჩვენისთანა პატარა ქვეყნებისგან განსხვავებით, ინგლისელი თუ რაგბის გულშემატკივარია, არასდროს წავა ფეხბურთზე და პირიქით. მაგას ზუსტად ვინ დათვლის, მაგრამ ამ ორი სპორტის თაყვანისმცემელთა რაოდენობა მთლიანად ბრიტანეთში ალბათ თანაბარია: 1998 წელს მაიკლ ოუენის მიერ არგენტინელთა კარში გატანილი საოცარი გოლით გამოწვეულ დეციბალთა რაოდენობა არაფრით ალემატებოდა 1995 წლის 11 ივნისს დაფიქსირებულს, როცა რაგბის მსოფლიოს თასის მეოთხედფინალის ბოლო წამებზე რობ ენდრიუს ზღაპრულმა არეკნმა ავსტრალია დაამხო. და რატომ იმართება ინგლისის საფეხბურთო თასის ფინალი უელსის დედაქალაქში? იმიტომ, რომ ლონდონის გარეუბანში მდებარე სარაგბო მექა „თვიქნემის" ახლომახლო მცხოვრებმა მოსახლეობამ სასტიკად იუარა თავის უბანში ფეხბურთის ფანობა ეხილა — სად ჩვენ და სად ეგენიო.

ასევეა ჩვენი და ინგლისის ნაკრების ამბავიც — ბორჯღალოსნებისთვის ისევე წარმოუდგენელია ვარდების დამარცხება, როგორც ჩვეულებრივი ქართველი მოზარდისთვის ქალაქ რაგბის უპრესტიჟულეს და უძვირეს კოლეჯში ჩარიცხვა.




ინგლისელთა სნაიპერი ჯონი უილკინსონი

## ურუგვაი




პაბლო ლემონი

დავამარცხოთ ურუგვაი! ეს არის ბორჯღალოსანთა უმთავრესი სამსოფლიოთასო მიზანი, რაკი ჯგუფში სამხრეთამერიკელები ყველაზე სუსტი მეტოქეები არიან. მსოფლიოს თასზე მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფიდან ვერგასვლისთვისაა განწირული, ურუგვაისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დონის ტურნირზე თამაში ნაკრების ახალ თაობას დიდ გამოცდილებას შესძენს, თანაც ევროპელი სელექციონერებისთვის თავის მოწონების მშვენიერი შესაძლებლობაა. ეს ყოველივე კი ურუგვაიში რაგბის განვითარებას დიდად წაადგება.

ურუგვაელებსაც ჰყავთ ვარსკვლავი - პაბლო ლემონი. 1999 წლის მსოფლიოს თასზე შერკინების ბურჯმა, 27 წლის ლემონმა ფრანგი სკაუტები მოხიბლა და მსოფლიო რაგბის საკლუბო გრანდ „სტად ფრანსეში" მოხვდა. ლემონი კლუბშიც და ნაკრებშიც ლიდერია. ამას წინათ კლოდ სორელმა აღნიშნა, ჩვენ თუ ლევან ცაბაძე გვყავს, ურუგვაის ლემონი ჰყავსო.

მსოფლიოს თასზე დებიუტი ურუგვაის 1999 წელს ჰქონდა. ჯგუფში სამხრეთ აფრიკასთან, შოტლანდიასთან და ესპანეთთან მოხვედრილმა ურუგვაიმ, ცხადია, შემდეგ ეტაპზე ვერ გააღწია. ამას ვერც გაისად შეძლებს, მაგრამ მსოფლიოს ოც საუკეთესო ნაკრებში მოხვედრა უკვე ბევრს ნიშნავს.

ურუგვაის ძალიან სურს, მეზობელ არგენტინას გაუტოლდეს, თუმც ამას მხოლოდ მაისურის ფერებით თუ ახერხებს.

## სამოა



სამოელთა ლიდერთაგანი ტიმ ლემი

ეგზოტიკური ოკეანეთის წარმომადგენელი ნამდვილად არ არის სუსტი გუნდი. სამოამ ოთხივე მსოფლიოს თასზე ითამაშა, ბოლო სამ გათამაშებაში კი მეოთხედფინალშიც გავიდა. ამჟერად ამის გაკეთების მცირედი შანსი აქვს.

სამოელებს ძლიერი ინდივიდუალისტების იმედი უნდა ჰქონდეთ, გუნდურ თამაშში კი ერთობ მოიკოჭლებენ. შვიდკაცა რაგბიში დახელოვნებულ სამოელებს სხარტი ბეკები ჰყავთ. განსაკუთრებით ძლიერები ბრაიან ლიმა (123 ქულა ნაკრებში) და აფატო სოოალო (70 ქულა) არიან. ცალკე აღნიშვნის ღირსია სამოელთა უპირველესი მექულე სილაო ლიევგა (150 ქულა), რომელსაც ლელოების გატანა და კარში დარტყმა ერთნაირი ოსტატობით ეხერხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ-ფრანგული შტაბი



## კლოდ სორელი

ახლა საქართველოში ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კლოდ სორელი და რა გააკეთა ჩვენი ნაკრებისთვის. მისი ჰობი კი ეგებ ბევრმა არც იცოდეს. ყველაზე ძალიან მას წყალქვეშა ნადირობა იტაცებს. საგანგებოდ ამისთვის წელიწადში ორჯერ მოგზაურობს თბილ ქვეყნებში. როგორც თავად ამბობს, წყალქვეშა ნადირობამ ბავშვობიდან გაიტაცა. შეუძლია, უჟანგბადოდ 20-25 მეტრზე ჩაყვინთოს. ამით ამაყობს კიდეც. ფაბრეგში აქვს 60 ჰექტარი ვენახი, თუმცა მევენახეობისთვის ვეღარ იცლის. ამიტომ მიწა იჯარით აქვს გაცემული. მამულში აკეთებს ასაფრენ ბილიკს თავისი პატარა თვითმფრინავისთვის. აქვს პილოტის ლიცენზია. მეუღლეს კატია ჰქვია. ჰყავს ორი ქალიშვილი: 29 წლის დაფნა და 24 წლის დავინა.

სორელი ბეზიელია და 28 წელი ამ ქალაქის გუნდის ერთგული იყო. მძიმე ტრავმის გამო თამაშს თავი 22 წლისამ დაანება და მწვრთნელობა დაიწყო. 1981 წელს „ბეზიეს" მთავარი მწვრთნელი გახდა და ზედიზედ ორჯერ აჩემპიონა.

არის 2001 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი. ამავე წელს რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა სამეულში მოხვდა. 2000 წელს საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მსოფლიოს თასზე გაიყვანა. შარშან ეროვნულ ნაკრებს ევროპის ერთა თასი მოაგებინა, წლეულს კი მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. ღირსების ორდენის კავალერია.

## პატრიკ ფორი



კლოდ სორელის თანაშემწე და უკანა ხაზის მწვრთნელი. ნაკრებში დაინიშნა წლევანდელ აგვისტოს სორელის რეკომენდაციითა და მოთხოვნით. მორაგბეობისას სორელთან ერთად „ბეზიეში" თამაშობდა. 1981-82 და 83-84 წლებში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. ამ დროს „ბეზიეს" მწვრთნელი კლოდ სორელი იყო. შვიდკაცა რაგბის განიხილავს, როგორც 15-კაცა რაგბისთვის მოსამზადებელ კლასიკურ სკოლას. რაგბის ამ სახეობის რამდენიმე ელემენტი ბორჯღალოსანთა არსენალშიც შეიტანა.

ფორი სორელის მეგობარია. ახლახან მასთან ერთად კავკასიური ნაგაზის ლეკვი იყიდა, რომელსაც „ლელოს" დაარქვა.



## ციური რუდილო

ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი, მონპელიეს უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, სორელის ძველი მეგობარი. როგორც ბორჯღალოსნები ამბობენ, ნაკრების წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. აქვს პილოტის ლიცენზია და სორელთან ერთად ხშირად დაფრინავს ორადგილიანი თვითმფრინავით. გულღია და მხიარული კაცია, მისი ჰობია კითხვა. ნაკრების ვარჯიშებზე ხშირად ნახავთ წიგნში თავჩარგულს.

ბავშვივით ხარობს, როცა ქართულ გაზეთებში თავის ფოტოს ნახავს.



## ჟან-ლუი სოლომონი

გუნდის ექიმ-მასაჟისტი. რაგბი არასდროს უთამაშია და ვარჯიშებზე ბორჯღალოსნებს ხშირად სთხოვს, პასი მაინც ასწავლონ. თავისი საქმის საუცხოო მცოდნეა, საკეთებელს ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს. ლემენში აქვს საკუთარი კლინიკა.



## ბიძინა გეგიძე

სწორედ ბიძინა გეგიძის პრეზიდენტობის ჟამს უკავშირდება ბორჯღალოსანთა წარმატებები. მისი საქმიანობის გეზმა ჩვენი ნაკრები მსოფლიოს თასზე გაიყვანა. გეგიძემ თავიდანვე სწორად გათვალა: დაუკავშირდა საფრანგეთში მცხოვრებ ზაზა ქასაშვილს და კავშირის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა. ქასაშვილმა გააცნო კლოდ სორელი, რომელმაც საფრანგეთში სატრანსფერო ფანჯარა გაუხსნა ჩვენს მორაგბეებს (დღეს საფრანგეთის სხვადასხვა ლიგაში 70-მდე ქართველი თამაშობს). გეგიძისვე გადაწყვეტილებით, ბორჯღალოსანთა კონსულტანტი სორელი ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. შედეგი — მშვენიერი.

ბიძინა გეგიძე თამაშობდა „შევარდენში" და სპი-ში. იყო კარგი მორაგბე, მეტსახელად „ბელუხა". ახლა კარგი ბიზნესმენი და მეოჯახეა — ოთხი შვილის მამაა. არის თბილისის საკრებულოს წევრი.



2001 წლის 7 აპრილი, ბუქარესტი. რუმინეთი – საქართველო 20:31

ევროპის ერთა თასი საქართველოსია!

## ამნისტია!

ქართველ მორაგბეთა ისტორიულ გამარჯვებასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

ყველა სადისციპლინო სასჯელი, გამოტანილი რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის მიერ 2002 წლის 13 ოქტომბრამდე, ბათილად იქნეს ცნობილი.

ამასთან, ვიტოვებ იმედს, რომ ყველა ქართველი მორაგბე სწორად გაიაზრებს მიღებულ გადაწყვეტილებას და მსოფლიოში აღიარებულ რაგბის ფასეულობებს შეუსაბამებს ქცევის ნორმებს, რითაც შეიტანს წვლილს ქართული რაგბის შემდგომ განვითარებაში.

**ბიძინა გეგიძე** *საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი*



## გია ჭუმბურიძე

ერთადერთი ქართველი ნაკრების ფრანგულ შტაბში. ინტელიგენტი, ალალი კაცი. ჭუმბურიძე ნაკრების კურატორი, სორელის თანამოაზრე, ხელშემწყობი და გვერდით მდგომი კაცია. ბორჯღალოსნები მისთვის მეორე ოჯახია. ნაკრებთან ერთად ათენებს და აღამებს. ხიდია სორელსა და მორაგბეებს შორის. შესანიშნავად ლაპარაკობს ფრანგულად. რუსეთთან მატჩის შემდეგ გასახდელში 25-წლიანი ულვაში მოიპარსა — პირობა დადეო.

ალმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების IRB-ს (რაგბის საერთაშორისო საბჭო) ოფიცერი.

ბორჯღალოსნები: ასაკი, კლუბი, თამაში, ლელო, გარდასახვა, საჯარიმო, არეკნი, ქულა

| | ბორჯღალოსნები | ასაკი | კლუბი | თამაში | ლელო | გარდასახვა | საჯარიმო | არეკნი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ვასილ აბაშიძე | 24 | ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 2. | ნიკა აბდალაძე | 29 | აია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3. | ირაკლი აბუსერიძე | 25 | ორიიაკი | 17 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 4. | კახა ალანია | 29 | ლოკომოტივი | 22 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5. | ხონო ანდღულაძე | 24 | ლოკომოტივი | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 6. | დავით აშვეთია | 27 | მონფერანი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7. | გუგა ბაბუნაშვილი | 38 | (თამაში მიატოვა) | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8. | ზაზა ბაკურაძე | 42 | (თამაში მიატოვა) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9. | დავით ბარამიძე | 23 | უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10. | ოთარ ბარკალაია | 19 | ორბელი — ლელო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11. | გიორგი ბერიაშვილი | 41 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12. | მერაბ ბესელია | 33 | (თამაში მიატოვა) | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 13. | დავით ბოლღაშვილი | 23 | (უგუნდო) | 15 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 14. | გიორგი ბუგიანიშვილი | 28 | ლოკომოტივი | 14 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 15. | დავით ჩა[illegible]იშვილი | 39 | (თამაში მიატოვა) | 7 | 2 | 0 | 2 | 2 | 22 |
| 16. | ირაკლი ჩ[illegible] | 31 | (თამაში მიატოვა) | 10 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 17. | ლევან ჩიქვისიძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 18. | გიორგი ჩხაიძე | 21 | ლა როშელი | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 19. | სანდრო ჩხენკელი | 30 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 20. | ვიქტორ დიდებულიძე | 32 | კანი | 22 | 4 | 0 | 0 | 0 | 20 |
| 21. | ემზარ ძაგნიძე | 32 | დათვები | 10 | 1 | 0 | 1 | 0 | 8 |
| 22. | ნუგზარ ძაგნიძე | 35 | (თამაში მიატოვა) | 12 | 3 | 9 | 22 | 3 | 105 |
| 23. | დემირ ძნელაძე | 34 | ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 24. | პაატა ძოწენიძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 25. | ოთარ ელოშვილი | 24 | ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 26. | სანდრო ესაკია | 27 | ლავერდოკი | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 27. | მამუკა გაგნიძე | 37 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 28. | ალეკო ღიბრაძე | 29 | (თამაში მიატოვა) | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 29. | დავით ლუდუშაური | 38 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 30. | ემზარ გეგუჩაძე | 36 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 31. | აქვსენტი გიორგაძე | 26 | როვიგო | 26 | 7 | 0 | 0 | 0 | 35 |
| 32. | ირაკლი გიორგაძე | 20 | ტულონი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 33. | ირაკლი გიორხელიძე | 31 | ფილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 34. | გიორგი გიუნაშვილი | 37 | (თამაში მიატოვა) | 13 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 35. | კახა გიუნაშვილი | 34 | (თამაში მიატოვა) | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 36. | ირაკლი გუნდიშვილი | 19 | უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 37. | ალეკო გუმარაშვილი | 33 | ყოჩები | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 38. | დავით იობიძე | 32 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. | გუჯა იოვაძე | 28 | აგდი | 14 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 40. | ალეკო ისაკაძე | 43 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 41. | ნიკოლოზ იურინი | 31 | ლავერდოკი | 17 | 6 | 4 | 3 | 2 | 53 |
| 42. | შალვა ჯანელიძე | 32 | ყოჩები | 11 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 43. | რეზო ჯაფარაშვილი | 35 | (თამაში მიატოვა) | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 44. | ლევან ჯაველიძე | 25 | ნანტი | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 45. | პალიკო ჯიმშელაძე | 27 | ორიიაკი | 32 | 6 | 38 | 17 | 0 | 157 |
| 46. | კოტე ჯინჭარაძე | 31 | ანდორა | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 47. | გიორგი კახიანი | 27 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 48. | ვასილ კაცაძე | 26 | გრენობლი | 24 | 5 | 0 | 0 | 0 | 25 |
| 49. | არჩილ ქავთარაშვილი | 30 | ლიმოჟი | 19 | 11 | 0 | 0 | 0 | 55 |
| 50. | იგორ ქერაული | 36 | (თამაში მიატოვა) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 51. | ტიხონ ხახალეიშვილი | 36 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 52. | ბართლომე ხამაშურიძე | 48 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 53. | ბესიკ ხამაშურიძე | 25 | ოში | 25 | 7 | 0 | 0 | 0 | 35 |
| 54. | მიხეილ ხარშილაძე | 48 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 55. | ბადრი ხეხელაშვილი | 24 | ანგულემი | 19 | 5 | 0 | 0 | 0 | 25 |
| 56. | თამაზ ხუადე | 37 | (თამაში მიატოვა) | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 57. | ზაზა ხუციშვილი | 35 | (თამაში მიატოვა) | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 58. | ალეკო ხვედელიძე | 37 | (თამაში მიატოვა) | 10 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 59. | არჩილ კობახიძე | 27 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 60. | კახა კობახიძე | 32 | (თამაში მიატოვა) | 11 | 2 | 0 | 1 | 13 | |
| 61. | ბობა კვინიხიძე | 24 | კასტრი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 62. | გია ლაბაძე | 29 | ტულონი | 29 | 6 | 0 | 0 | 0 | 30 |
| 63. | ირაკლი ლეჟავა | 33 | (თამაში მიატოვა) | 4 | 0 | 1 | 2 | 1 | 11 |
| 64. | ზაზა ლეჟავა | 37 | (თამაში მიატოვა) | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 65. | ბესო ლილუაშვილი | 48 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 66. | ოლეგ ლიპარტელიანი | 47 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 67. | სპირიდონ ლიპარტელიანი | 34 | (თამაში მიატოვა) | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 68. | ზვიად ლიპარტელიანი | 36 | (თამაში მიატოვა) | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 69. | მამუკა ლოსაბერიძე | 36 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 70. | კახა მაჩიტიძე | 33 | დათვები | 18 | 2 | 10 | 7 | 4 | 63 |
| 71. | ირაკლი მაჩხანელი | 21 | მატორუ | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 72. | მამუკა მაგრაქველიძე | 25 | მონპელიე | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 73. | ილია მაისურაძე | 25 | უნივერსიტეტი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 74. | მერაბ მარჯანიშვილი | 34 | (თამაში მიატოვა) | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 75. | კაკო მაჭუტაძე | 28 | ლოკომოტივი | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 76. | ლევან გელაძე | 43 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 77. | ნუგზარ მგელაძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 78. | შოთა მოდებაძე | 28 | ნიმი | 23 | 3 | 4 | 13 | 0 | 62 |
| 79. | სანდრო მჭედლიშვილი | 24 | უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 80. | ზურაბ მჭედლიშვილი | 31 | დომონი | 26 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 81. | მევლუდ მთიულიშვილი | 32 | ბეზიე | 24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 82. | ვანო ნადირაძე | 30 | ბეზიე | 28 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 83. | ალეკო ნაჭყეპია | 49 | (თამაში მიატოვა) | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 84. | ნიკო ნატროშვილი | 31 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 85. | სოსო ნიკოლაენკო | 27 | რუმია | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 86. | დიმიტრი ობოლაძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 15 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 87. | თამაზ ოდიშარია | 38 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 88. | შალვა პაპაშვილი | 20 | აკადემია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 89. | სოსო პარნიკანაშვილი | 30 | (თამაში მიატოვა) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 90. | გია ფერაძე | 37 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 91. | გელა ფირცხალავა | 33 | (თამაში მიატოვა) | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 92. | თამაზ ფხაკაძე | 36 | (თამაში მიატოვა) | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 93. | გია რაფავა | 33 | (თამაში მიატოვა) | 13 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 94. | ტარიელ რატიანიძე | 22 | ბეზიე | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 95. | ზურა რეხვიაშვილი | 38 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 96. | სანდრო საკანდელიძე | 30 | ყოჩები | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 97. | პაატა სანებლიძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 98. | ვანო საცერაძე | 43 | (თამაში მიატოვა) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 99. | ემზარ შანიძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 100. | ბადრი შვანგირაძე | 40 | (თამაში მიატოვა) | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 101. | გოდერძი შველიძე | 24 | ბეზიე | 18 | 3 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 102. | ირაკლი სიხარულიძე | 28 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 103. | სოსო სულთანიშვილი | 29 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 104. | პაატა სვანიძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 105. | თენგიზ თავაძე | 41 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 106. | ნიკო ჭავჭავაძე | 27 | ყოჩები | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 107. | მალხაზ ჭეიშვილი | 43 | (თამაში მიატოვა) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 108. | ბესო ტეფნაძე | 31 | (თამაში მიატოვა) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 109. | ლევან ცაბაძე | 29 | მონფერანი | 33 | 10 | 0 | 0 | 0 | 50 |
| 110. | დავით ცხვედიანი | 26 | დათვები | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 111. | ვახო ცქიტიშვილი | 32 | (თამაში მიატოვა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 112. | თენგიზ თურძელაძე | 42 | (თამაში მიატოვა) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 113. | პაატა ტყაბლაძე | 33 | (თამაში მიატოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 114. | კახა უჩავა | 25 | დათვები | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 115. | ბესიკ უდესიანი | 23 | ლონსელონიე | 3 | 0 | 0. | 0 | 0 | 0 |
| 116. | მალხაზ ურჯუკაშვილი | 22 | ტური | 23 | 6 | 16 | 23 | 0 | 131 |
| 117. | რატი ურუშაძე | 27 | სიბტრაჟმაში | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 118. | დავით ვართანიანი | 33 | (თამაში მიატოვა) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 119. | ლაშა ვაშაძე | 35 | (თამაში მიატოვა) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 120. | გრეგუარ იაშვილი | 26 | მეტრო-რასინგი | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 121. | ილია ზედგინიძე | 25 | როვიგო | 17 | 6 | 0 | 0 | 0 | 30 |


დავით კილასონია


თემურ ბენდიაშვილი


დუგლას კავთელაშვილი

## ყველა მწვრთნელი

1. დავით კილასონია ------------------ (1-3)
2. თემურ ბენდიაშვილი -------------- (4-11)
3. დუგლას კავთელაშვილი --------- (12-15)
4. გურამ მოდებაძე ----------------- (16-27)
5. კლოდ სორელი ------------------ (27-51)

## ყველა კაპიტანი

1. ოლეგ ლიპარტელიანი ------------------- (1-3)
2. ნუგზარ ძაგნიძე ------------------ (4, 6-10, 13)
3. ალეკო ხვედელიძე --------------------------- (5)
4. დიმიტრი ობოლაძე ----------- (11, 14-22, 25)
5. თამაზ ფხაკაძე ---------------------------- (12)
6. ზურაბ მჭედლიშვილი(23-24, 26, 29-31, 33-37)
7. გია რაფავა -------------------------------- (27)
8. ვანო ნადირაძე ---------------------------- (28)
9. გია ლაბაძე -------------------------------- (32)
10. ლევან ცაბაძე ---------------------- (38-49)
11. ილია ზედგინიძე -------------------- (50-51)


გურამ მოდებაძე

ჩანართში გამოყენებულია ბადრი ქეთილაძის, გურამ დოლენჯაშვილის და ნუკრი გარდანიძის ფოტოები

## ყველაზე მეტი მატჩი

| | |
|---|---|
| 1. ლევან ცაბაძე | 33 |
| 2. პალიკო ჯიმშელაძე | 32 |
| 3. გია ლაბაძე | 29 |
| 4. ვანო ნადირაძე | 28 |
| 5. აქვსენტი გიორგაძე | 26 |
| ზურა მჭედლიშვილი | 26 |
| 6. ბესი ხამაშურიძე | 25 |
| 7. მევლუდ მთიულიშვილი | 24 |
| ვასილ კაცაძე | 24 |
| 8. შოთა მოდებაძე | 23 |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 23 |
| 9. ვიქტორ დიდებულიძე | 22 |
| კახა ალანია | 22 |
| 10. არჩილ ქავთარაშვილი | 19 |
| ბადრი ხეხელაშვილი | 19 |

## მელელოები

| | |
|---|---|
| 1. არჩილ ქავთარაშვილი | 11 |
| 2. ლევან ცაბაძე | 10 |
| 3. ბესიკ ხამაშურიძე | 7 |
| 4. აქვსენტი გიორგაძე | 7 |
| 5. ნიკოლოზ იურინი | 6 |
| 6. ილია ზედგინიძე | 6 |
| 7. მალხაზ ურჯუკაშვილი | 6 |
| 8. გია ლაბაძე | 6 |
| 9. პალიკო ჯიმშელაძე | 6 |
| 10. ბადრი ხეხელაშვილი | 5 |
| 11. ვასილ კაცაძე | 5 |

## გარდასახვა

| | |
|---|---|
| 1. პალიკო ჯიმშელაძე | 38 |
| 2. მალხაზ ურჯუკაშვილი | 16 |
| 3. კახა მაჩიტიძე | 10 |

## ჯარიმები

| | |
|---|---|
| 1. მალხაზ ურჯუკაშვილი | 23 |
| 2. ნუგზარ ძაგნიძე | 22 |
| 3. პალიკო ჯიმშელაძე | 17 |

## არეკნები

| | |
|---|---|
| 1. კახა მაჩიტიძე | 4 |
| 2. ნუგზარ ძაგნიძე | 3 |
| 3. დავით ჩავლეიშვილი | 2 |
| 4. ნიკოლოზ იურინი | 2 |
| 5. ირაკლი ლეჟავა | 1 |

## მექულეები

| | |
|---|---|
| 1. პალიკო ჯიმშელაძე | 157 |
| 2. მალხაზ ურჯუკაშვილი | 131 |
| 3. ნუგზარ ძაგნიძე | 105 |

## საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 12.09.1989 | ტმ | ქუთაისი | საქართველო — ზიმბაბვე 16:3 |
| 2 | 14.04.1990 | ტმ | ბულავაიო | ზიმბაბვე — საქართველო 22:16 |
| 3 | 21.04.1990 | ტმ | ჰარარე | ზიმბაბვე — საქართველო 10:26 |
| 4 | 21.11.1991 | ტმ | თბილისი | საქართველო — უკრაინა 9:15 |
| 5 | 24.11.1991 | ტმ | რუსთავი | საქართველო — უკრაინა 6:0 |
| 6 | 13.07.1992 | ტმ | კიევი | უკრაინა — საქართველო 13:18 |
| 7 | 15.07.1992 | ტმ | კიევი | უკრაინა — საქართველო 0:15 |
| 8 | 19.07.1992 | ტმ | კიევი | ლატვია — საქართველო 3:28 |
| 9 | 25.05.1993 | მთშ | გდანსკი | რუსეთი — საქართველო 15:9 |
| 10 | 27.05.1993 | მთშ | ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი — საქართველო 10:10 |
| 11 | 31.10.1993 | ფირა | ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი — საქართველო 10:10 |
| 12 | 03.04.1994 | ტმ | გელენჯიკი | ყაზახეთი — საქართველო 5:17 |
| 13 | 04.06.1994 | ფირა | შო დე ფონი | შვეიცარია — საქართველო 21:22 |
| 14 | 23.03.1995 | ფირა | სოფია | ბულგარეთი — საქართველო 8:70 |
| 15 | 25.03.1995 | ფირა | სოფია | მოლდოვა — საქართველო 5:47 |
| 16 | 15.10.1995 | ფირა | თბილისი | საქართველო — გერმანია 14:3 |
| 17 | 24.11.1995 | ფირა | კასტრიკუმი | პოლანდია — საქართველო 55:3 |
| 18 | 12.04.1996 | ფირა | თბილისი | საქართველო — ჩეხეთი 20:3 |
| 19 | 22.09.1996 | ფირა | პრაღა | ჩეხეთი — საქართველო 14:18 |
| 20 | 20.10.1996 | ფირა | თბილისი | საქართველო — რუსეთი 29:20 |
| 21 | 19.04.1997 | ფირა | ლისაბონი | პორტუგალია — საქართველო 21:17 |
| 22 | 10.05.1997 | ფირა | გდანსკი | პოლონეთი — საქართველო 29:23 |
| 23 | 12.10.1997 | მთშ | თბილისი | საქართველო — ხორვატია 29:15 |
| 24 | 18.10.1997 | მთშ | კოპენჰაგენი | დანია — საქართველო 8:19 |
| 25 | 11.04.1998 | მთშ | ლაკვილა | იტალია — საქართველო 31:14 |
| 26 | 03.05.1998 | ტმ | კიევი | უკრაინა — საქართველო 17:31 |
| 27 | 20.05.1998 | მთშ | თბილისი | საქართველო — რუსეთი 12:6 |
| 28 | 14.11.1998 | მთშ | დუბლინი | ირლანდია — საქართველო 70:0 |
| 29 | 18.11.1998 | მთშ | დუბლინი | რუმინეთი — საქართველო 27:23 |
| 30 | 06.03.1999 | მთშ | ნუკუალოფა | ტონგა — საქართველო 37:6 |
| 31 | 28.03.1999 | მთშ | თბილისი | საქართველო — ტონგა 28:27 |
| 32 | 26.01.2000 | ტმ | ლივორნო | იტალია — საქართველო 51:7 |
| 33 | 06.02.2000 | ევთ | ლისაბონი | პორტუგალია — საქართველო 30:32 |
| 34 | 20.02.2000 | ტმ | სენ გოდანი | მაროკო — საქართველო 10:20 |
| 35 | 04.03.2000 | ევთ | მადრიდი | ესპანეთი — საქართველო 36:32 |
| 36 | 19.03.2000 | ევთ | თბილისი | საქართველო — პოლანდია 41:6 |
| 37 | 02.04.2000 | ევთ | თბილისი | საქართველო — რუმინეთი 20:23 |
| 38 | 04.02.2001 | ევთ | ამსტერდამი | პოლანდია — საქართველო 3:42 |
| 39 | 17.02.2001 | ევთ | თბილისი | საქართველო — პორტუგალია 36:12 |
| 40 | 04.03.2001 | ევთ | კრასნოდარი | რუსეთი — საქართველო 23:25 |
| 41 | 17.03.2001 | ევთ | რუსთავი | საქართველო — ესპანეთი 43:10 |
| 42 | 07.04.2001 | ევთ | ბუქარესტი | რუმინეთი — საქართველო 20:31 |
| 43 | 10.11.2001 | ტმ | თბილისი | საქართველო — საფრანგეთი (ა) 24:20 |
| 44 | 18.11.2001 | ტმ | თბილისი | საქართველო — სამხრეთ აფრიკა (ა) 17:31 |
| 45 | 03.02.2002 | ევთ | თბილისი | საქართველო — პოლანდია 88:0 |
| 46 | 16.02.2002 | ევთ | ლისაბონი | პორტუგალია — საქართველო 23:27 |
| 47 | 03.03.2002 | ევთ | თბილისი | საქართველო — რუსეთი 12:12 |
| 48 | 23.03.2002 | ევთ | მადრიდი | ესპანეთი — საქართველო 18:34 |
| 49 | 06.04.2002 | ევთ | თბილისი | საქართველო — რუმინეთი 23:32 |
| 50 | 28.09.2002 | მთშ | დუბლინი | ირლანდია — საქართველო 63:14 |
| 51 | 13.10.2002 | მთშ | თბილისი | საქართველო — რუსეთი 17:13 |

სულ: 51 მატჩი, მოგება 33, ფრე 2, წაგება 16, ქულები 1186:971, ლელოები 145:110

შენიშვნა: ტმ — ტესტ-მატჩი; მთშ — მსოფლიოს თასის შესარჩევი; ფირა — ფირა-ს პირველობა; ევთ — ევროპის ერთა თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუფრთხილდით ერთმანეთის ყბებს!




დენის უაიზი მოედანზეც ჩხუბობს და მის გარეთაც

**დენის უაიზი**, ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრი, თავის ყოფილ კლუბს, „ლესტერ სიტის" სასამართლოში უჩივის. ჩივილის საბაბი მისი კლუბიდან გაგდება გახლავთ, რის გამოც, ამა წლის 14 აგვისტოს იგი უმუშევრად დარჩა.

მართალია, 24 სექტემბერს უაიზი უკვე „მილუოლის" წევრი იყო, მაგრამ ეგ რა „ლესტერის" საქმეა. მთავარია, რომ ამ კლუბის ხელმძღვანელებმა, ფეხბურთელს, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, ხელოვნურად შეუწყვიტეს „სტაჟი", რისთვისაც, სასამართლოს კარს მიმდგარი უაიზი 2,36 მილიონ გირვანქას ითხოვს.

ახლა კონფლიქტის არსს უფრო ღრმად ჩავწვდეთ: აგვისტოში, როდესაც ინგლისში ჩემპიონატი ჯერ არ იყო დაწყებული და „ლესტერ სიტი" სეზონისწინა შეკრებას ფინეთში გადიოდა, დენის უაიზმა თანაგუნდელ კალუმ დევიდსონს ყბა გაუტეხა. ამ საქციელმა „ლესტერის" ხელმძღვანელები ალაშფოთა და უაიზს სასტიკი განაჩენი გამოუტანეს — სამუშაოდან გააგდეს. ფეხბურთელმა განაჩენი, იქვე, კლუბშივე გაასაჩივრა, მაგრამ ოთხი კაცისგან შემდგარმა სასამართლომ ვერდიქტი არ შეცვალა.

ამრიგად, უაიზი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, უმუშევრად მაინც არ დარჩენილა, სიმართლის საპოვნელად სასამართლოს კარს მიადგა.

„ლესტერ სიტიმ" საქმის ახლებურ გაგრძელებაზე კომენტარისგან თავი შეიკავა — მივალთ, ვნახავთ, რა ხდება და ყველაფერს მერე მოგახსენებთო, მაგრამ ვაი, თუ, სასამართლომ ფეხბურთელი გაამართლა...

მერე ნახეთ პრობლემა: „ლესტერი" გასულ მაისს პრემიერლიგიდან გავარდა, პირველი დივიზიონი კი, ინგლისში, ფინანსური თვალსაზრისით, უპატრონოდაა მიტოვებული. კერძოდ „ლესტერს", ამწუთას, 30 მილიონი გირვანქა ვალი აწევს ბეჭებზე და მის ფეხბურთელებს, გასულ ოთხშაბათს, ხელფასები 20 პროცენტით შეუმცირეს.

ბოლოს კი ასე ვთქვათ: დენის უაიზი, რომელსაც საუკეთესო წლებში „ჩელსის" კაპიტნად ვიცნობდით, „ლესტერ სიტის" მწვრთნელმა 19-ჯერ გაუშვა მოედანზე და ამ 19 შეხვედრაში, მან ერთადერთი გოლის გატანა შეძლო.

**ბაჩუნა ძიძია**



# ცოლს საცვალი ანაცვალა

## მაგას ტვინი აქვს ამოსვირინგებული

**ნილი და ჯოანი** ინგლისში, კენტის საგრაფოში ცხრა წელია, ცოლქმრული წესით ცხოვრობენ. ახლა კი საქმე ისე მიუდით, რომ ცხრაწლიანი თანაცხოვრება ურთიერთობის გაცხოველებული გაცხარებით შეიცვალა. მიზეზი ქალის ქვედა საცვალია, რომელიც ჯოანს მეუღლემ, ნილმა აჩუქა ქორწინების ცხრა წლის თავზე.

საცვალი ჩვეულებრივია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წინა მხარეს საფეხბურთო კლუბ „ნორვიჩ სიტის" ემბლემაა გამოსახული. ქმრის ყურადღებამ და საჩუქარმა ჯოანი განაცვიფრა და გააცოფა.

ნილი „ნორვიჩის" თავგადაკლული ქომაგია. სათაყვანებელი გუნდის არც ერთ მატჩს არ აცდენს. ყოველ მეორე უქმეზე თავისი სახლიდან დაახლოებით 500 კილომეტრზე მიემგზავრება, რათა „ნორვიჩის" საშინაო თამაშს უყუროს — ის ნორვიჩიდან სწორედ ამდენი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს.

ცხრა წელი ასე გრძელდებოდა და ჯოანმა ველარ გაძლო, რადგან მიხვდა, რომ ქმარს „ნორვიჩი" ცოლს ურჩევნია. ემბლემიანი საცვალი ბოლო წვეთი იყო მათ ურთიერთობაში, რომელმაც ქალის მომინების ფიალა საბოლოოდ აავსო.

„როდესაც მარტონი ვრჩებით, ნილი მხოლოდ სამ თემაზე საუბრობს, „ნორვიჩზე", „ნორვიჩზე" და „ნორვიჩზე" — თქვა ჯოანმა — ცოლი საერთოდ აღარ აინტერესებს. როცა მან საცვალი მომიტანა, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ჰგონია, რომ ეს ძალიან სექსუალურია. ბრეზენტიც კი, რომელიც ჩვენს მანქანაზეა გადაკრული, კლუბის მწვანე-ყვითელ ფერშია გაწყობილი."

გარდა ამისა, ნილმა საკუთარი სახლიც იგივე ფერებით შეღება. შვებულებისას ნორვიჩში მიემგზავრება და მთელ დროს კლუბის სტადიონისა და სავარჯიშო მოედნების დათვალიერებაში ატარებს, მკერდზე კი ემბლემა აქვს ამოსვირინგებული.

ჯოანი იმაზეც ნერვიულობს, რომ მათი ათი წლის ბავშვის სათამაშოებიც „ნორვიჩის" ფერებშია შეხამებული. არადა, ბიჭი სულ სხვა გუნდის ქომაგია.

ჩემთვის ეს ნარკოტიკივით არის, ბრძანა ნილმა, ვისაც „ნორვიჩ სიტი" ბალღობიდან ჩავარდნია გულში.

ჯოანმა გამოსავალი ნახა, მან ქმართან გაყრა მოითხოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**





გერჰარდ აიგნერმა ჩვენნაირები კარლ-ჰაინც რუმენიგესგან დაიცვა

# რუმენიგემ საქართველო აითვალწუნა

## უეფა ბობოლებს და ბევრ თამაშს დაგვპირდა

**ამბობენ**, ამ დღეებში, ერთმა ევროპელმა საფეხბურთო დიდმოხელემ წინადადება შეიტანა, ყარტა-ყურტა ქვეყნებისთვის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად, შესარჩევის შესარჩევი შეჯიბრება დაეაწესოთო. მერედა, არ გაინტერესებთ, ვინ ბრძანდება ეს დიდმოხელე? მიუნხენის „ბაიერნის" ერთ-ერთი ბოსი, წარსულში ბრწყინვალე ფეხბურთელი, კარლ-ჰაინც რუმენიგე.

როგორც ამბობენ, რუმენიგეს ამ ნათქვამზე რეაგირება უეფას გენერალურ მდივანს, გერჰარდ აიგნერს არ დაუგვიანია. მას, გერმანული სააგენტო SID- სპორტისთვის მოუხსენებია, რომ უფალ რუმენიგეს არ ეთანხმება.

თავის მხრივ (სამართლიანია თუ უსამართლო), რუმენიგემ ეს წინადადება ევროპის ჩემპიონატის სიყვარულით რომ არ შემოიტანა, ალბათ, ადვილი მისახვედრია. იგი, როგორც ზევითაც ვთქვით, „ბაიერნის" ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია და თავისი კლუბის ფეხბურთელების სანაკრებო შეკრებებზე იშვიათად გაშვებით არის დაინტერესებული. ერთი სიტყვით, თუ პირობითად, რომ ვთქვათ, საქართველოებს შესარჩევი ტურნირიდან მოიშორებს, „ბაიერნი" თავის მოთამაშეებს ნაკრებში უფრო იშვიათად გაუშვებს და ამით, ერთი, რომ ტრავმის ალბათობა შეუმცირდება, ხოლო მეორე — დამღლელი მოგზაურობები გაუიშვიათდება.

„გამოცდილ და ნავარჯიშებ პროფესიონალებს ჩვენს კონტინენტზე ცხოვრების რეალობათა გაცნობა არ ავნებთ — განაცხადა პასუხად აიგნერმა — თან, შესარჩევი მატჩები მხოლოდ ძლიერთათვის ქულების დასაგროვებლად კი არა, სუსტთათვის გამოცდილების შესაძენადაც არის ჩაფიქრებული."

ამასთან, უეფას გენერალურმა მდივანმა დასძინა, რომ დიდ ქვეყანათა დიდ კლუბებს, არ უნდა დაავიწყდეთ ის პატარა ქვეყნები, რომელთა ტალანტებითაც საზრდოობენ: „მომიტევეთ განრისხება, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს, განა სოლიდარობა საერთოდ უნდა დავივიწყოთ?"

შემდეგ, აიგნერმა თქვა, რომ ბევრი პატარა ქვეყნის ნაკრები ამხანაგური თამაშებისთვის პარტნიორებსაც ვერ პოულობს, რაც უეფას საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემცირებისკენ კი არა, გაზრდისკენ უბიძგებს.

„ჩვენ შესარჩევი ჯგუფების გაზრდაზე ვფიქრობთ, რათა თამაშების რაოდენობამ იმატოს, რისთვისაც ამხანაგურებისთვის გამოყოფილ დღეებს გამოვიყენებთ. გვინდა ჯგუფები ხუთი კი არა, შვიდი-რვა გუნდისგან შევადგინოთ და ამ შვიდი-რვა გუნდიდან ორს ავტომატური საგზური გამოვუყოთ. ეს სუსტ ქვეყნებს ძლიერებთან ხშირი გაჯიბრების საშუალებას მისცემს."

**ბაჩუნა ძიძია**

# მაგისთანა ჭაღარას თავხოტორა სჯობსო

**იტალიის** ნაკრების უელსთან მარცხის მერე იტალიელთა მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის, მოგეხსენებათ, კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. შეგახსენებთ, რომ „დონ ტრაპის" არც მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას და მის შემდეგაც სწყალობდა პრესა და ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ლანძღავდა.



პაოლო დი კანიომ იტალიისთვის ჯანლუკა ვიალი შეარჩია

უელსთან მარცხის შემდეგ ტრაპატონის კრიტიკას ფეხბურთელთაგან პირველი ინგლისში მობურთალი პაოლო დი კანიო მოჰყვა.

მოგეხსენებათ, დი კანიოს სინიორ ჯოვანისთან არცთუ დიდი მეგობრობა აკავშირებს და მწვრთნელზე ქილიკი მისთვის ერთი სიამოვნებაა. „სკუადრა ადურას" ბოლო წარუმატებლობა კი მიზეზი გახდა დი კანიოს განცხადებისა: „ტრაპატონი სასწრაფოდ შესაცვლელია, მისი მემკვიდრის იდეალურ კანდიდატურად კი „ჩელსის" ყოფილი მენეჯერი ჯანლუკა ვიალი მიმაჩნია."

დი კანიომ არ დაიზარა და პრესას შეახსენა, ვიალის ფეხბურთელობისას 59 სანაკრებო კეპი დაგროვებია, ხოლო მწვრთნელობისას „ჩელსის" ინგლისის ასოციაციის თასი მოაგებინაო. ასე რომ, ვიალი საკმაოდ გამოცდილი პიროვნებაა და მისი „სკუადრა ადურას" მწვრთნელად დანიშვნა ისეთივე ეფექტური იქნება, როგორიც რობერტო მანჩინის საქმიანობა „ლაციოში".



**ნინო ძადაგიშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-ჰერტა | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-შალკე | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 18.30 | 004 | ჰანოვერი-ვერდერი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-ბაიერნი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ლაუტერნი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-არმინია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 008 | დორტმუნდი-არმინია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | უნიონი-ბურგჰაუზენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-კარლსრუე | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ზტ.პაული | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 018 | ვალდჰოფი-ფიურტი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | მაინცი-კიოლნი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 021 | კიოლნი(მ)-ბაბელსბერგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.00 | 022 | ესენი-ლევერკუზენი(მ) | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 023 | ფერლი-აუე | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.00 | 024 | ვატენშაიდი-ოსნაბრიუკი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.00 | 025 | ქემნიცი-პადერბორნი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 026 | დინამო-ვერდერი(მ) | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.00 | 027 | კილი-ლიუბეკი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 028 | ჰამბურგი(მ)-დორტმუნდი(მ) | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 031 | რეგენსბურგი-ფულენდორფი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 032 | რეგენსბურგი-ფულენდორფი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 17.30 | 033 | ვეენი-ნოინკირხენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 034 | კიკერსი-ზიგენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.30 | 035 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 036 | კაიზერსლაუტერნი(მ)-შვაინფურტი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.00 | 037 | ბაიერნი(მ)-ერფურტი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 038 | ელვერსბერგი-დარმშტადტი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.00 | 039 | ოფენბახი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 040 | ლიდსი-ლივერპული | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 041 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 042 | ევერტონი-არსენალი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 19.00 | 043 | ფულემი-მანჩესტერი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 044 | სიტი-ჩელსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 045 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 046 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.05 | 047 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.05 | 048 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 049 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 050 | ბრაიტონი-შეფილდი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 051 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 052 | გრიმსბი-როტერჰემი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 053 | ლესტერი-ბარნსლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 054 | ნორვიჩი-მილუოლი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 055 | პორტსმუთი-ქოვენტრი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 056 | რედინგი-იფსვიჩი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 057 | უესხდი-ბრედფორდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 058 | უოლსოლი-პრესტონი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 059 | უიმბლდონი-კრისტალ პალასი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.35 | 060 | სტოკი-ვულვერჰემპტონი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.05 | 061 | დერბი-ნოტინგემი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 063 | ბლეკპული-კარდიფი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 064 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 065 | ბრისტოლი-სუინდონი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 066 | ბრისტოლი-სუინდონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.00 | 067 | ჩელტენემი-ქუინს პარკი | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |
| 19.00 | 068 | ქრიუ-პლიმუთი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 069 | მენსფილდი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-ნორთჰემპტონი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 071 | ოლდემი-ლუტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 072 | ტრანმერი-ბარნსლი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 073 | უიგანი-სტოკპორტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 074 | უიკომბი-პიტერბრო | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 075 | კემბრიჯი-ოქსფორდი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 076 | დარლინგტონი-ბოსტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 077 | ჰარტლპული-რექსემი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 078 | ლეიტონი-ბორნმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 079 | ლინკოლნი-ექსეტერი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 080 | მაკლსფილდი-კარლაილი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 081 | როჩდეილი-სკანთორპი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 082 | რაშდენი-ბერი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 083 | შრუსბერი-კიდერმინსტერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 084 | სუონსი-საუთენდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 085 | ტორკი-ჰალი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 086 | იორკი-როვერსი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **იტალია. სერია "A". VI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 087 | ემპოლი-რომა | 3,6 | 3,0 | 2,0 | 1,63 | 1,28 | 1,2 |
| 23.30 | 088 | ინტერი-იუვენტუსი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 089 | ატალანტა-მილანი | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,81 | 1,25 | 1,11 |
| 18.00 | 090 | ბოლონია-ბრეშა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 18.00 | 091 | კომო-პიაჩენცა | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 18.00 | 092 | ლაციო-პერუჯა | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 093 | ლაციო-პერუჯა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 094 | ტორინო-კიევო | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 18.00 | 095 | უდინეზე-რეჯინა | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 096 | მოდენა-პარმა | 2,7 | 2,8 | 2,6 | 1,37 | 1,32 | 1,34 |
| | | **იტალია. სერია "B". VIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 097 | ანკონა-სამპდორია | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| 23.30 | 098 | კალიარი-ვერონა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 099 | კატანია-სალერნიტანა | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.30 | 100 | კოზენცა-ასკოლი | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| 23.30 | 101 | ჯენოა-მესინა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 102 | ლეჩე-ტრიესტინა | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 23.30 | 103 | ნაპოლი-ლივორნო | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 23.30 | 104 | სიენა-ბარი | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 23.30 | 105 | ტერნანა-ვენეცია | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 23.30 | 106 | ვიჩენცა-პალერმო | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია. "C1 A". VIII ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 107 | ჩეზენა-კარარეზე | 1,7 | 2,7 | 6,0 | 1,04 | 1,32 | 1,86 |
| 18.00 | 108 | ჩიტადელა-პროპატრია | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 18.00 | 109 | ლუმეცანე-პრატო | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 18.00 | 110 | პიზა-რეჯანა | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 18.00 | 111 | პისტოიეზე-ლუკეზე | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 18.00 | 112 | სპალ-ალძანო | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 113 | სპეცია-ალბინოლეფე | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 18.00 | 114 | ტრევიზო-არეცო | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 115 | ვარეზე-პადოვა | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |
| | | **იტალია. სერია. "C1 B". VIII ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 117 | აველინო-პესარო | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 118 | ბენევენტო-სორა | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| 18.00 | 119 | კოტრო-ჯულიანოვა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 18.00 | 120 | ფერმანა-ლანჩანო | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 121 | სამბენედეტეზე-მარტინა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 18.00 | 122 | ტარანტო-პატერნო | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 18.00 | 123 | ტერამო-აკილა | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 124 | ვიტერბეზე-ტორესი | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,68 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 125 | პესკარა-კროტონე | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. VI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 126 | რასინგი-რეალი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 23.30 | 127 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 00.30 | 128 | ატლეტიკო-ვალენსია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 129 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 21.00 | 130 | ალავესი-სოსიედადი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 131 | ბილბაო-მალაგა | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 132 | ესპანიოლი-უელვა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 133 | ოსასუნა-სევილია | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 22.00 | 134 | სელტა-რაიო | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.30 | 135 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 136 | ეიბარი-ფეროლი | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 21.30 | 137 | ელჩე-კორდობა | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 01.00 | 138 | ლას პალმასი-ხეტაფე | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 139 | ლეგანესი-ალბასეტე | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 15.00 | 140 | ტერასა-ტენერიფე | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 21.00 | 141 | ბადახოსი-მურსია | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| 21.00 | 142 | სპორტინგი-ეხიდო | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 21.00 | 143 | სერესი-სალამანკა | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 21.00 | 144 | სარაგოსა-ოვიედო | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 21.00 | 145 | ალმერია-კომპოსტელა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 21.00 | 146 | ნუმანსია-ლევანტე | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.15 | 147 | ლიონი-ოსერი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 148 | ბასტია-ლე ავრი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 23.00 | 149 | გენგამი-მონპელიე | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 150 | ლანსი-აიაჩო | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.00 | 151 | მონაკო-ლილი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 152 | ნანტი-ნიცა | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 153 | სედანი-რენი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.00 | 154 | სოშო-ბორდო | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 155 | ტრუა-პსჟ | 2,8 | 2,8 | 2,5 | 1,39 | 1,32 | 1,32 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 156 | მარსელი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 158 | ბოკე-სტ.ეტიენი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 159 | კაენი-ისტრი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.00 | 160 | შატორუ-რეიმსი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 161 | კლერმონი-ლორიანი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 23.00 | 162 | კრეტეი-ლე მანი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 23.00 | 163 | გრენობლი-ამიენი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 164 | ლავალი-გენიონი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 165 | ნანსი-ტულუზი | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 23.00 | 166 | ვალენსი-ნიორი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 167 | ბრაგა-ბოავიშტა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 168 | ვარზიმ-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.30 | 169 | ალვერკა-ბეირა მარი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.30 | 170 | მორეირენსე-ნასიონალი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 20.00 | 171 | სანტა კლარა-მარიტიმუ | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.00 | 172 | სეტუბალი-ლეირია | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 21.00 | 173 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 174 | პორტუ-ბენფიკა | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 00.30 | 175 | ფეირერა-გიმარაეში | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 176 | სალგეიროში-ფარენსე | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 177 | ამადორა-შავეში | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 20.00 | 178 | ლამეში-ნავალი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 20.00 | 179 | მაია-ალვერკა | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 180 | ფელგეირაში-ავეში | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 181 | პორტიმონენსე-კოვილია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 182 | პენაფიელი-ოვარენსე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 183 | ლეცა-რიუ ავე | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.00 | 184 | მადეირა-მარკუ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 186 | აიაქსი-ალკმაარი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 187 | აიაქსი-ალკმაარი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 22.30 | 188 | ვიტესი-ფეიენოორდი | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 22.30 | 189 | ტილბურგი-როზენდალი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.30 | 190 | პსვ-როდა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 191 | პსვ-როდა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.00 | 192 | ტვენტე-ჰერენვენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 193 | ექსელსიორი-უტრეხტი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 17.30 | 194 | ზვოლე-ბრედა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 195 | გრონინგენი-ვალვაიკი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. IX ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 205 | გენტი-ლოკერენი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 206 | ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.00 | 207 | შარლერუა-ბრიუგე | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 23.00 | 208 | ანდერლეხტი-მონსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 209 | ანდერლეხტი-მონსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 23.00 | 210 | მეხელენი-ლომელი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 211 | სტანდარდი-ბეერსხოტი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 212 | გენკი-ბევერენი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 213 | გენკი-ბევერენი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 214 | ვესტერლო-ლუვე | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.00 | 215 | მუსკრონი-ლიერსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 216 | დაინცე-ვარეგემი | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 217 | რუზელარე-რონსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 218 | ვიზე-ინგელმუნსტერი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 18.00 | 219 | სტრომბეკი-სერენი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.00 | 220 | პატრო-ვემბეკი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 221 | გეელი-ტიენენი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 222 | ლიეჟი-დენდერლეუ | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 18.00 | 223 | ვირტონი-ეუპენი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 18.00 | 224 | ჰეუსდენი-დესელი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| | | **ჩეხეთი. XI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.25 | 225 | სპარტა-ჟიჟკოვი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 226 | სპარტა-ჟიჟკოვი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 227 | სიგმა-ზლინი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.30 | 228 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 19.30 | 229 | ბოჰემიანსი-ხიგმა | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.30 | 230 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 231 | ლიბერეცი-ბლშანი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.30 | 232 | ტეპლიცე-პრჟიბრამი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.30 | 233 | ბრნო-ჰ.კრალოვე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 234 | ბანიკი-სლავია | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |
| | | **პოლონეთი. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 235 | პოლონია-პოგონი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 236 | პოლონია-პოგონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 17.30 | 237 | გარბარნია-რუხი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 17.30 | 238 | ოდრა-ვისლა | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 21.00 | 240 | პლოცკი-ლეგია | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 21.00 | 241 | ვიძევი-გროცლინი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 21.00 | 242 | ლეხი-ზაგლემბე | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 22.00 | 243 | ამიკა-ოსტროვეცი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 244 | ამიკა-ოსტროვეცი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **თურქეთი. IX ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 247 | მალათია-გენჩლერბირლიგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 248 | გოზთეპე-ისთანბული | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.00 | 249 | გალათასარაი-დიარბაქირი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 250 | გალათასარაი-დიარბაქირი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 21.00 | 251 | გაზიანთეპი-სამსუნი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 252 | ელაზიგი-ალთაი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.00 | 253 | დენიზლი-ბეშიქთაში | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 21.00 | 254 | ანკარაგუჯუ-ბურსა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 255 | ტრაბზონი-ქოჯაელი* | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 256 | ტრაბზონი-ქოჯაელი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 257 | აბერდინი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 258 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 259 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 260 | პარტიკი-ჰიბერნიანი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 261 | რეინჯერსი-მაზერველი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 262 | რეინჯერსი-მაზერველი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 263 | ჰარტსი-სელტიკი | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 264 | ალოა-ინვერნესი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 19.00 | 265 | ფოლკირკი-ეარი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 266 | როსი-არბროთი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 267 | სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 268 | ერდრი-ჰამილტონი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,28 | 1,67 |
| 19.00 | 269 | კოუდენბითი-სტრანრაერი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 19.00 | 270 | რეითი-ბერვიკი | 1,65 | 3,5 | 4,2 | 1,12 | 1,18 | 1,9 |
| 19.00 | 271 | სტენჰაუსმუირი-ფორფარი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 272 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 3,4 | 3,5 | 1,85 | 1,72 | 1,19 | 1,21 |
| 19.00 | 273 | გრეტნა-ელგინი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 19.00 | 274 | პიტერჰედი-ალბიონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 275 | ქუინს პარკი-მონტროუზი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 276 | სტირლინგი-მორტონი | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |
| | | **დანია. XII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 277 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 278 | ესბიერგი-ფარუმი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 18.00 | 279 | აკადემისკი-ბრონდბიუ | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 18.00 | 280 | ვიბორგი-ოდენსე | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.00 | 281 | ორჰუსი-კიოგე | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 20.35 | 282 | ოლბორგი-სილკებორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **ავსტრია. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 283 | ავსტრია-ზალცბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 284 | ავსტრია-ზალცბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.30 | 285 | გრაცერი-კერნტენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 286 | პაშინგი-რაპიდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.30 | 287 | ადმირა-რიდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.30 | 288 | ბრეგენცი-შტურმი | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |
| | | **შვეიცარია. "A" ჯგუფი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 289 | აარაუ-იანგ ბოისი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 22.30 | 290 | ბაზელი-სტ.გალენი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 291 | ბაზელი-სტ.გალენი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.30 | 292 | ლუცერნი-სერვეტი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.15 | 293 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 294 | გრასჰოპერი-ქსამაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.15 | 295 | თუნი-ციურიხი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.15 | 296 | ვილი-დელემონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 297 | ბადენი-კრიენსი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.30 | 298 | ვინტერთური-ბელინცონა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 22.30 | 299 | ლოზანა-ვოლენი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 22.30 | 300 | სიონი-ივერდონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 301 | ლუგანო-კონკორდია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 302 | ლუგანო-კონკორდია 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.30 | 303 | შაფჰაუზენი-ვადუცი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | **შვედეთი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 305 | აიკი-სუნდსვალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.00 | 306 | გოტებორგი-ლანდსკრონა | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 18.00 | 307 | კალმარი-ჯურგორდენი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 308 | ჰალმსტადი-ორებრო | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 309 | ჰელსინგბორგი-ორგრიტე | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 22.00 | 310 | ჰამარბი-ნორჩეპინგი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| | | **ნორვეგია. XXV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 311 | სოგნდალი-როზენბორგი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 312 | ბოდიო გლიმტი-მოსი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 17.00 | 313 | ბრანი-ლილესტრიომი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 17.00 | 314 | სტაბეკი-მოლდე | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 17.00 | 315 | ვიკინგი-ბრინი | 1,55 | 3,8 | 4,7 | 1,1 | 1,16 | 2,1 |
| 17.00 | 316 | ვოლერენგა-სტარტი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 317 | ვოლერენგა-სტარტი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 318 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| | | **ფინეთი. ფლეი ოფი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 319 | ტამპერე-ლაჰტი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 19.00 | 320 | ჰაკ-ალიანსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 321 | ჰაკ-ალიანსი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 322 | მიუპა-ჰაკა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 323 | იარო-ინტერი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| | | **ფინეთი. ფლეი აუტი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 324 | ტპ 47-კტპ | 2,9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 17.00 | 325 | იოკერიტი-ვაასა | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| 20.30 | 326 | კუოპიო-ტპს | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 20.30 | 327 | ჯაზი-ჰაამეენლინა | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/16 ფინალი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 328 | ირაკლისი-პანიონიოსი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 609 | ლადა-დინამო | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 16.00 | 610 | ს.იულაევი-მოლოტი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 16.00 | 611 | მაგნიტოგორსკი-სევერსტალი | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 16.00 | 612 | მეჩელი-აკ | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| 16.00 | 613 | ამური-ავანგარდი | 2,8 | 4,4 | 1,7 | 1,71 | 1,05 | 1,22 |
| 16.00 | 614 | ცსკა-სპარტაკი | 1,75 | 4,7 | 2,7 | 1,27 | 1,06 | 1,71 |
| 16.00 | 615 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 16.00 | 616 | კრილია-სიბირი | 1,5 | 5,0 | 3,4 | 1,15 | 1,04 | 2,02 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 617 | აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 1,3 | 5,3 | 5,0 | 1,04 | 1,03 | 2,57 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 642 | ფრიბურგი-ამბრი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 643 | სერვეტი-კლოტენი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 644 | ლუგანო-რაპერსვილი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 22.30 | 645 | ლანგნაუ-ბერნი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 646 | ციურიხი-დავოსი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 647 | ცუგი-ლოზანა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.10 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (IX ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 16.00 | 2602 | ინგლისი პლ. (X ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 21.00 | 2603 | იტალია "A" (VI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (VI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XI ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 24.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (VII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 18.10 23.00 | 2607 | ჰოლანდია Iდ. (VIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 23.00 | 2607 | ბელგია Iდ. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 18.10 22.00 | 2608 | თურქეთი. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# წყნეთი. მცხეთა. ტაბახმელა. შინდისი... თბილისის გარშემო სულ ევროპაა

Chevron RALLY OF GEORGIA 2002
შევრონ რალი საქართველო

გუშინ თბილისში სტარტი აიღო უკვე ტრადიციულად ქცეულმა საერთაშორისო რალიმ.

ჩვენი ავტოსპორტისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება — „შევრონ რალი საქართველო 2002", ასევე ტრადიციულად, დიდუბის საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე დაიწყო. ლამაზად გაფორმებულ პოდიუმზე მონაწილეთა წარდგენა ეფექტური სანახავი იყო. მასპინძელთათვის საპასუხისმგებლო კი ის გახლავთ, რომ შეჯიბრების სათანადო დონეზე ჩატარების შემთხვევაში ჩვენი რალი კანდიდატი ღონისძიებიდან ევროპის ჩემპიონატის სრულუფლებიანი ეტაპი გახდება.

ასპარეზობის დაწყებამდე გავესაუბრეთ შეჯიბრების დირექტორს, ბულგარელ ალექსანდრ ბოშნაკოვს, რომელიც შარშან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციიდან (FIA) მოვლენილი დამკვირვებელი გახლდათ:

— რაკი შარშან ასპარეზობა პირველად მოეწყო, ბუნებრივია, ხარვეზიც საკმაოდ ახლდა, რაც FIA-სადმი ჩემს პატაკში ალვნიშნე. ამჯერად სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ პრობლემები მოგიგვარებიათ და, ვფიქრობ, არაფერი დაუდგება წინ თქვენს სურვილს — საქართველოს რალი საგაისოდ ევროპირველობის ეტაპი გახდეს...

შეჯიბრებაში 17 ეკიპაჟი ჩაება, უმეტესობა, ცხადია, საქართველოდანაა. საჯირითად ჩამოვიდა შარშანდელი გამარჯვებული ვიაჩესლავ პროხოროვი, ოღონდ ამჯერად სხვა მანქანით („მიცუბიში EVO-7") და სხვა შტურმანით, რუს პილოტს მეგზურად ვიაჩესლავ აკიმოვი ჰყავს. სწორედ პროხოროვი და ასეთსავე მანქანაზე ამხედრებული საქართველოს ჩემპიონი ვიქტორ თოდაძე თანამძღოლ ვიქტორ ბაგრამოვთან ერთად ითვლებიან გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტებად. ვინ მიაღწევს წარმატებას, ანუ ვის დარჩება სოლიდური მთავარი პრიზი, ხვალ საღამოს შევიტყობთ.

მრბოლებს სამ დღეში 545-კილომეტრიანი დისტანცია აქვთ დასაძლევი თბილისის შემოგარენში, აქედან 209 — ჩასათვლელ, ჩქაროსნულ უბნებზე მოდის.

„ექსპოჯორჯიაში" ერთწუთიანი ინტერვალით ერთმანეთს 17 წყვილი მიჰყვა: *ვიქტორ თოდაძე, ვიქტორ ბაგრამოვი („მიცუბიში"), დიმიტრი ზონინი, ილია გლადიშევი („ფოლკსვაგენ გოლფი"), ვიაჩესლავ პროხოროვი, ვიაჩესლავ აკიმოვი („მიცუბიში"), ჯემალ გულარაშვილი, ნუგზარ ბაინდურაშვილი („ოპელი"), ლევან ლომაძე, ბორის საყვარელიძე („ტოიოტა"), ალექსანდრ მილოვანოვი, იგორ მატალოვი („სუბარუ"), დავით იაშვილი, ზაზა იაშვილი („სუბარუ"), გიორგი ლომინაძე, დავით ლალაშვილი („ჰონდა"), ზაზა ზოზიაშვილი, თამაზ სანებლიძე („ლადა"), ანდრეი კირპიჩნიკოვი, ალექსეი პიოვაროვი („ლადა"), ოთარ თავართქილაძე, დავით ნებიერიძე (BMW), მევლუდ მელაძე, ზურაბ ფალავა („ჰონდა"), ზურაბ ბეჟაშვილი, თამაზ მაჭავარიანი („ლადა"), ტარიელ გამყრელიძე, ზურაბ ბაბუციძე („ლადა"), ზურაბ ალნიაშვილი, არმენ შაჰინიანი („ლადა"), გიორგი ოგბაიძე, გურამ ნარინდოშვილი („ლადა"), რამაზ მაისურაძე, მერაბ შენგელია („ჰონდა").*

„რუსთავრინგზე" ოთხი სპეცმონაკვეთის უსწრაფესად დაძლევის შემდეგ დაწინაურდა პროხოროვი. თოდაძე საბურავის გასკდომის გამო ლიდერს საკმაოდ ჩამორჩა, თუმც მთავარი ბრძოლა ჯერ, ცხადია, წინაა.

**გია ახალაძე**





## ევროლიგა
### პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. 16-17 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

**ეფესი 84:83 ბენეტონი**
ეფესი: ბრაუნი (30), გრანგერი (28), ფარსი (10)
ბენეტონი: მარკონატო (20), იდნი (20), გარბახოსა (14)

**პო ორტეზი 77:74 ციბონა**
პო ორტეზი: სელერსი (15), პილი (14), ფ. პიეტრუსი (13)
ციბონა: მანსე (14), რუჟიჩი (13), მამიჩი (13)

**სკიპერი 88:78 ალბა**
სკიპერი: სკელინი (18), ბაზილე (15), გალანდა (14)
ალბა: კოლინზი (27), პეშიჩი (21), სტანოევიჩი (11)

**აეკ 57:62 ბარსელონა**
აეკ: ბლანკი (18), ზიშიჩი (10)
ბარსელონა: ბოდიროგა (22), ნავარო (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | +24 | 4 |
| ეფესი | 2 | 2 | 0 | +22 | 4 |
| ბენეტონი | 2 | 1 | 1 | +20 | 3 |
| ციბონა | 2 | 1 | 1 | +11 | 3 |
| სკიპერი | 2 | 1 | 1 | -9 | 3 |
| პო ორტეზი | 2 | 1 | 1 | -18 | 3 |
| აეკ | 2 | 0 | 2 | -19 | 2 |
| ალბა | 2 | 0 | 2 | -31 | 2 |

**B ჯგუფი**

**ბუდუჩნოსტი 72:78 უნიკახა**
ბუდუჩნოსტი: კოლიევიჩი (14), სმილიანიჩი (13), მილოევიჩი (12)
უნიკახა: ბალოკი (26), კორნგაი (15)

**ოლიმპია 72:76 ტაუ**
ოლიმპია: ილიევსკი (14), ბოისა (24 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), პოლიაკი (10)
ტაუ: ნოჩიონი (19); ალენი (14), მოტოლა (13)

**მაკაბი 107:81 სიენა**
მაკაბი: გორეე (18), ბურშტეინი (17), ვუიჩიჩი (15)
სიენა: თურქჯანი (22), ვუკჩევიჩი (20), კიაჩიგი (20)

**ჟალგირისი 79:94 პანათინაიკოსი**
ჟალგირისი: კორნელი (19), გინევიჩუსი (18), ეინიკისი (17)
პანათინაიკოსი: ალვერტისი (22), ბაფორდი (16), მაკდონალდი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | +31 | 4 |
| ტაუ | 2 | 2 | 0 | +10 | 4 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | +20 | 3 |
| ოლიმპია | 2 | 1 | 1 | +3 | 3 |
| უნიკახა | 2 | 1 | 1 | -1 | 3 |
| სიენა | 2 | 1 | 1 | -19 | 3 |
| ჟალგირისი | 2 | 0 | 2 | -22 | 2 |
| ბუდუჩნოსტი | 2 | 0 | 2 | -22 | 2 |

**C ჯგუფი**

**ცსკა 93:57 პარტიზანი**
ცსკა: გატლინგი (19), პოლდენი (16), პაძივრეტასი (13)
პარტიზანი: სეკულიჩი (13), კეგმანი (11)

**რეალი 73:81 კინდერი**
რეალი: ერნანდესი (17), ერეროსი (15), ალსტონი (13)
კინდერი: ბელი (19), კოტუროვიჩი (14), სეკულარიჩი (15)

**ოლიმპიაკოსი 71:77 ულქერი**
ოლიმპიაკოსი: ტომიჩი (19), ჯონსონი (13), პარისისი (11)
ულქერი: პრაშკევიჩუსი (20), ბლერი (19), ბუკერი (15), ფაჩულია (3 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა)

**ვილერბანი 87:80 შლიონსკი**
ვილერბანი: სმიტი (20), ევტიმოვი (11), გოდუ (10)
შლიონსკი: გედრაიტისი (24), კოლი (14), ჰოლკომბი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | +39 | 4 |
| ვილერბანი | 2 | 2 | 0 | +11 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | +13 | 3 |
| კინდერი | 2 | 1 | 1 | +4 | 3 |
| ულქერი | 2 | 1 | 1 | +3 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | -4 | 3 |
| შლიონსკი | 2 | 0 | 2 | -26 | 2 |
| პარტიზანი | 2 | 0 | 2 | -40 | 2 |

# ბოისა წითელქუდას ზღაპარში
## კალათში ბევრი ეწყო, ბასკებმა შეუჭამეს

სანამ მეორე ტურში მიმხდარზე გეტყოდეთ, საინტერესო სტატისტიკას შემოგთავაზებთ: ვლადიმერ ბოისამ შარშანდელ ევროლიგაში ნათამაშევ რვა მატჩში 66 წუთი დაჰყო მოედანზე და ჯამში 22 ქულა მოაგროვა, ფარზე კი 9 ბურთი მოხსნა. წლევანდელი ევროლიგის პირველ ორ ტურში ვოვამ უკვე 48 წუთი ითამაშა და 24 ქულას 11 მოხსნაც დაურთო.

ბოისას ამ წარმატებულ სტატისტიკას იმასლა დავამატებთ, რომ ქართველი ლიუბლიანის „ოლიმპიას" ლიდერთაგანია, სლოვენიური კლუბი კი სულაც არაა ევროლიგის მაჩანჩალათა შორის.

პირველ ტურში „უნიკახასთან" მატჩისა არ იყოს, ბოისამ ოთხშაბათსაც ულიდერა „ოლიმპიას" „ტაუსთან". მასპინძლები მთელი თამაში იგებდნენ და ზედიზედ მეორე ესპანური კლუბის დამწუხრებამდეც სულ ცოტა დააკლდათ. ტომო მაჰორიჩის გუნდმა პირველი მეოთხედი 22:11 მოიგო, მეორეში კი 16 ქულითაც დაწინაურდა. ბოისამ „ტაუსთვის" ჩაგდებული 12 ქულიდან მიყოლებით 6 მაშინ ჩააგდო, როცა ბასკებმა წამოწევა იწყეს და ოლიმპიელებმაც მესამე მეოთხედის მიწურულს საგრძნობი უპირატესობა შეინარჩუნეს — 47:38.

სტუმრები ბოლო ათწუთეულში გამოცოცხლდნენ. განსაკუთრებით გამოსარჩევნი არგენტინელი ანდრეს ნოჩიონი და ფინელი ჰანო მოტოლა იყვნენ. სამხრეთამერიკელი 17 ქულით მატჩის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, სკანდინაველმა კი ბოლოსკენ ივარგა და ესპანელებს მოაგებინა. თამაშის დამთავრებამდე 42 წამით ადრე მოტოლას ორქულიანმა პირველად დააწინაურა სტუმრები, მისმავე ჯარიმებმა კი საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე „ტაუ" მიუწვდომელი გახადა.

ქართველის გუნდით გავაგრძელოთ და „ულქერის" გმირობაზე ვთქვათ: ზაზა ფაჩულიამ მხოლოდ ორ-ორქულა-მოხსნიანი წვლილი შეიტანა სტამბოლელთა მიერ „ოლიმპიაკოსის" დამარცხებაში. პირეოსის „მშვიდობისა და მეგობრობის" დარბაზში ქართველმა ოდენ 3 წუთი ითამაშა.

„ულქერმა" სეზონისწინა ტრანსფერები მიზანში მოარტყა. ფაჩულიას გუნდმა ქართველის გარდა ყველა ლეგიონერი გაუშვა და სამი უცხოტომელი — პრაშკევიჩუსი, ბლერი და ბუკერი შეიმატა. სწორედ ამ სამმა კალათბურთელმა მოაგებინა თოლგა ონგორენის გუნდს. არათურქთა ტრიომ ჯამში 54 ქულა ჩააგდო, საუკეთესო შედეგიანმა ოსმალომ კი 7 ქულა შეაკოწიწა.

ვერ ვიტყვით, „ულქერის" მიერ მეორე მეოთხედის რამდენიმეწუთიანი მონაკვეთის 17:0 მოგებამ ბერძნები გატეხა და მომხვდურთან ბრძოლაზე უარი ათქმევინაო. 17:35 ჩამორჩენის მერე პირეოსელების მილან ტომიჩმა, სტამბოლელებს 5 წუთში 16(!) ქულა ჩაუგდო და „ოლიმპიაკოსი" 58:57 დააწინაურა. სტუმართა გმირობაც ისაა, რომ სოლიდური უპირატესობის განიავების შემდეგ მაინც შეძლეს ევროპის ბობოლათაგანის თავისსავე ბუნაგში დამარცხება — ბერძნულ კლუბთა დარი ქომაგობით კი ბარე ორი გუნდი ვერ დაიკვეხნის.

მართალი იყო მანუჩარ მარკოიშვილი, რომ ამბობდა, დაძაბულ მატჩებში ბენეტონელთა შორის არ ვიქნებიო. ტრევიზოელებმა სტამბოლში, „ეფესთან" მართლაც უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს და ახალბედა ქართველიც მოედანზე არ გამოჩენილა. მატჩი მეტად უცნაური სცენარით წარიმართა და უცნაურადვე დასრულდა. ჯერ ბოლოს მომხდარზე გეტყვით: თურქი ენდერ არსლანი 19 წლის ყმაწვილია და „ბენეტონთან" 23 წუთი ითამაშა, თუმც ბოლო წამებამდე ვერაფერში ივარგა. უხეიროდ მოთამაშე არსლანი, საკითხავია რატომ, და, მატჩის ბოლო წამებზე მოედანზე აღმოჩნდა. თამაშის დასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე „ეფესი" 82:80 იგებდა, მაგრამ სტუმართა ამერიკელმა გამთამაშებელმა ტაიუს იდნიმ „ბენეტონის" დამაწინაურებელი სამქულიანი გაჩარხა და დამხვდურებს შეტევისთვის წამებიღა რჩებოდათ. მოედანზე უხეიროდ მორბენალმა არსლანმაც აქ გამოიღო ხელი: ტრევიზოელებმა გადამწყვეტ მომენტში ახალგაზრდა თურქს სათანადო ყურადღება გასაგებ მიზეზთა გამო არ მიაქციეს და დაისაჯნენ კიდეც — არსლანმა გამარჯვების და ამ მატჩში მისთვის პირველი ბურთი საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე ჩააგდო... მანამდე მომხდარი უცნაურობა კი თურქების უყურადღებობაზე მიანიშნებს: ეფესელები პირველ ნახევარში 20 ქულით იგებდნენ, მერე და მერე კი ფლანგეს და ფლანგეს ქულები და რომ არა არსლანი, ვინ იცის, შერცხვენილიყვნენ კიდეც...

ბოლოს გამოკვეთილ ლიდერებზეც ვთქვათ. ევროვარსკვლავებით გაძეძგილმა „ბარსელონამ" არცთუ იოლად გაიმარჯვა ათენში. აეკ-ი კატალონიელებს მთელი მატჩი კუდში მისდევდა და მეტოქეზე იერიში ბოლო წუთებზე მიიტანა, თუმც მხოლოდ 2 ქულით მიუახლოვდა ესპანურ-ევროპულ გრანდს — 57:59. აქ კი, ისევე როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, საჯარიმოს ხაზზე ბებერ კონტინენტზე უგანთქმულესი დეიან ბოდიროგა დადგა და აუღელვებლად ჩაყარა „ბარსელონასთვის" გამარჯვების მომტანი ქულები.

გრანდობის მოსურნემ თუ უკვე გრანდმა ცსკა-მ კი მოსკოვში ბელგრადის „პარტიზანი" არ დაინდო და „მაიამიდან" გადაყვანილი კრის გატლინგის შემწეობით ამ ევროლიგაში ჯერჯერობით ყველაზე დიდი სხვაობით მოიგო.

**ირაკლი ბერტაია**




ეფესი — ბენეტონი. მარკუს ბრაუნი მასპინძელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# იტირე, რუსო!
## აგასიმ თაობა რიგში ჩააყენა

**მასტერსის სერია**
მადრიდი. ჰარდი.
საპრიზო 2,950 მილიონი $

**მესამე წრე**

**ანდრე აგასი (2, აშშ)** — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:7 (8:10), 7:5; **ხუან კარლოს ფერერო** (5, ესპანეთი) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 3:6, 6:0, 6:1; **სებასტიან გროჟანი** (7, საფრანგეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:2), 6:1; **ირჟი ნოვაკი** (11, ჩეხეთი) — კარლოს მოია (8, ესპანეთი) 6:7 (2:7), 6:4, 7:5; **როჯერ ფედერერი** (12, შვეიცარია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 6:4; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ტომას იოჰანსონი (15, შვედეთი) 6:4, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 6:0, 6:2


REUTERS მადრიდიდან
კარლოს მოია

მესამე წრეში გასული თექვსმეტი მეჩოგნიდან ოთხი მასპინძელთა ამქარს წარმოადგენდა. ამ ოთხიდან მეოთხედფინალს მხოლოდ ერთმა — ხუან კარლოს ფერერომ (5) უწია. დარჩენილი სამი — კარლოს მოია (8), ალექს კორეჩა და ფელისიანო ლოპესი ქიმს მიღმა აღმოჩნდნენ. პირველი ჩეხმა ირჟი ნოვაკმა (11) იმსხვერპლა, მეორე სწორედ ფერეროს შეეწირა, ხოლო ჭაბუკი ლოპესისა და მისი თავგანწირვით მოქომაგე 9679 ფანის ცოდვა თავად ანდრე აგასიმ (2) დაიდო. სამივე მატჩი სამსეტიანი გახლდათ, დანარჩენ ხუთ შეხვედრაში კი უმჯობესის გამორკვევას ორ-ორ სეტზე მეტი არ დასჭირვებია.

21 წლის ცაცია, უმძლავრესად მოგლაჯუნე ლოპესისა და 32 წლის აგასის გაძლაგანა ძალზედ მუშაკარა და ხათქახუთქა სანახავი გამოდგა. ორი საათისა და 45 წუთის განმავლობაში მეტოქეები შეუპოვრად ჩოგნაობდნენ და გადამწყვეტი სეტის მიწურულამდე ერთმანეთს ერთი საკუთარი გეიმიც არ დაუთმეს. ჭაბუკმა მასპინძელმა მოწინააღმდეგის წილ კორტს 19 ეისი და 49 ქულიანი დარტყმა გადაუჭირა, მაგრამ სადავეები სწორედ მაშინ მოუბოშდა, როცა ეს ყველაზე მეტად უპატიებელი იყო.

ეს მესამე სეტში, 5:5-ზე ესპანელის მოწოდებისას მოხდა, როცა მან ჯერ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მერე კი ორი დარტყმაც გააცუდა და ანდრეს 6:5 წააყვანინა. ბოლო გეიმის მოგება მხოლოდ ტექნიკის საქმე გახლდათ, რაიც ვის-ვის, მაგრამ გველივით ბრძენსა და მოქნილ არმენოამერიკელს დახტურ არ ესწავლება.

აგასი: „საოცარი მატჩი იყო, ჩვენც კარგად ვითამაშეთ და ლიანგმაც ფენომენურად იქომაგა. ასეთი ვნებიანი, მჩქეფარე შეხვედრები იშვიათია, უფრო ხშირად დევისის თასზე გამოდის ხოლმე.. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, ძალიან მინდა, სეზონი რეიტინგსიის სათავეში დავასრულო. ამას, ცხადია, დარჩენილ ტურნირებზე წარმატების მიღწევა სჭირდება".

შეგახსენებთ, რომ კაცთა ამჟამინდელი სეფემჩოგნის, ლეიტონ ჰიუიტის გადასასწრებად ჯადოანდრანიკს მხოლოდ 44 ქულის მოხვეჭაც ეყოფა — იგულისხმება „12-თვიანი მცოცავი სია" და არა ჩემპიონთა რბოლა, რომელშიც მეპირველე ჰიუიტი მეორე ადგილზე მყოფ ანდრეს 100 ქულაზე მეტით უსწრებს..

კითხვაზე, თუ რომელ მეჩოგნეს გამოარჩევდა ის ახალთაობელთაგან, აგასიმ მის მიერ ის-ის იყო ძლეულ ლოპესზე, ჰიუიტსა და როჯერ ფედერერზე მიუთითა და იქვე დაურთო: „როცა 32 წლის ხარ, ყველა ახალთაობელი გგონია".

მეოთხედფინალში მას კოლოფერეროსთან თამაში მოუწევს, ვინაც მას წლეულს როლანგაროსულ მეოთხედფინალშიც აჯობა და საიმისოდ, რათა ჩოგნის მასთან გადაჯვარედინება ამჯერადაც მოეხერხებინა, თვისტომ ალექს კორეჩას ოტება მოუხდა.

28 წლის კორეჩამ პირველ სეტში 6 წლით უმცროსი მეტოქის შეცდომები გამოიყენა და დაწინაურდა. მაგრამ მერე როგორღაც მოეშვა და საუცხოოდ ათამაშებულ ფერეროს მომდევნო ორი სეტი სულ რაღაც 63 წუთში დაუთმო. მეორე სეტში თვითრწმენა დავკარგეო, განმარტავდა მერე კორეჩა, ფერერო კი გამარჯვებას ძირითადად საკუთარი უმჯობესი გარჯით ხსნიდა.

დაძაბული და ფიცხელი გამოდგა ნოვაკისა და მოიას პაექრობაც. გადამწყვეტ სეტში მასპინძელთა ჯილა 5:3 იგებდა და მომდევნო წრეში გასასვლელად ერთი გეიმის მოგებაღა აკლდა. მაგრამ ამ მატჩამდე 49 გამარჯვების მიმთვლელმა ჩეხმა მოიას ჯერ ერთი გეიმი გაუტეხა, მერე საკუთარ მოწოდებაზე ისევ შეუყოყმანებულმა მატჩბურთი მოიგერია და, როცა მოიას ნერვებმა უმტყუნა, 5:5-ზე მორიგი გეიმიც წაართვა, რათა საქმე 50-ე საამსეზონო გამარჯვებამდე მიეყვანა. ბარემ აქვე გეტყვით, 50-მოგებიან თამასას ამ სეზონში მხოლოდ ოთხმა მეჩოგნემ — (ნოვაკის გარდა) სწორედ მოიამ, ჰიუიტმა და აგასიმ მიაღწიეს.

სხვაფრივ — დანარჩენი შეხვედრებიდან გამოსარჩევია როჯერ ფედერერის (12) ზედიზედ მეშვიდე მოგება, წლევანდელი მეავსტრალიე ტომას იოჰანსონის (15) წაფორხილება და ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანის მორიგი სამაგალითო გარჯა. შვედი მესლემტიტულე 26 წლის არგენტინელმა აგუსტინ კალერიმ აბარგა, რითაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პირველ წრეებში მის მიერ ჯეიმს ბლეიკისა და მარატ საფინის ძლევა შემთხვევითი ამბები სულაც არ გახლდათ. სხვათა შორის, ეს მისი პირველი მასტერსმეოთხედფინალი იქნება, ისევე როგორც ტაილანდელი შრიჩაფანისთვის, რომელმაც წინა ორ მატჩში ასევე სახელიანი მეჩოგნეები — გუსტავო კუერტენი და ტიმ ჰენმანი დაამხო.

სულ ბოლოს კი ყოველივე ზემოთქმულიც და ზოგიც უთქმელი შანხაის რვაკაცა მასტერსტურნირის რაკურსით განვიხილოთ. მესამე წრის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, ჩემპიონთა რბოლის კენწეროში ასეთი ვითარება წარმოგვიდგება: ლეიტონ ჰიუიტს, რომელიც მადრიდში ნაგრიპალობის გამო ვერ ჩავიდა, ანგარიშზე 697 ქულა აქვს, თავი კი — ქუდში. შანხაიში წასვლა ასევე დაუბევებია მეორე ადგილზე მყოფ აგასის, რომელსაც იმ დღის მერე უკვე 579 ქულა დაუგროვდა. მესამეზე მადრიდიდან უკვე ოტებული მარატ საფინია 469 ქულით, მეოთხე — ხუან კარლოს ფერერო (450). მეხუთე საფეხური დაიკავა როჯერ ფედერერმა (423), რომელსაც კვირის დასაწყისში მეშვიდე ადგილი ეპყრა. მას 421-421-ქულიანი კარლოს მოია და ტიმ ჰენმანი მისდევენ. მეთერთმეტედან მერვე ადგილზე აინაცვლა ირჟი ნოვაკმა (401). მან მადრიდში ტრავმირებული ალ კოსტა (393) და ჩაფლავებულნი — ტომი ჰაასი (389) და ენდი როდიკი (384) ჩამოიტოვა. ამათ მერეა მე-12 ადგილზე მდგომი პიტ სამპრასი (347), შემდეგ 330-330-ქულიანი გილერმო კანასი და ტომას იოჰანსონი მყუდრობენ. მე-15-ადგილოსანმა ალექს კორეჩამ 311 ქულა მოაქუჩა.

**SWISSCOM CHALLENGE**
ციურიხი. ჰარდი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**მეორე წრე**

**ალექსანდრა სტივენსონი (აშშ)** — ელენა დოკიჩი (5, იუგოსლავია) 7:6 (8:6), 4:6, 7:5; **კიმ კლაისტერსი** (6, ბელგია) — ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკია) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 3:6, 7:6 (7:4), 7:6 (8:6)

ტურნირიდან ნაადრევად გამევებულ განთესილებს მე-5 ჩოგნის მჭნეველი ელენა დოკიჩიც შეუერთდა. უფრო სწორად — ის მათ ალექსანდრა სტივენსონმა შეუერთა. თავის 28-ე საამსეზონო ტურნირზე და 75-ე მატჩში მოჯომარდე მკერდნესვა იუგოგომ ეშხიან დარტყმებს მიქარვებიც უხვად შეუხამა და, რაკილა ჯულიუს ირვინგის გატიკნილმა ნაბუშარმა თავის მხრივ რიგიანად იბურთავა, კორტი ძლეულმა დატოვა.

მასსავით სამი სეტი გადახდა მისკბილა დანიელა ჰანტუხოვასაც (7), მაგრამ რუსი ელენა დემენტიევას გავლა მან მაინც მოახერხა. ეს დრამატული, ხანგრძლივი მატჩი იყო, რომელიც ორი საათისა და 53 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა და რომლის გადამწყვეტ მომენტშიც გრძელფეხება სლოვაკმა სათნო სკვითს 4 მატჩბურთი გაუუვნებლა. დემენტიევა კორტიდან ცრემლმორეული გადიოდა, დანიელას კი ბუტაყი სახე ყურებამდე გახეოდა პალალი, ნინველური ღიმილით. ეს ჩემი ცხოვრების ერთი ურთულესი თამაში იყოო, ამბობდა მერე.

იმ დღეს მეორე რუსი, ხუთშაბათს მოულოდნელად ტრავმირებული ამელი მორესმოს (3) შემცვლელად მოჩოგნავე ტატიანა პანოვაც გაბუნძურდა. ის ადგილობრივთა ჯილამ, მსოფლიოში მე-19 ჩოგნის მჭნეველმა პატი შნიდერმა დაამარცხა.

რაც შეეხება კიმ კლაისტერს (6), ამანდა კუცერის გასაპარტახებლად მას ძალზედ დაეხმარა ტრიბუნიდან მოყიჟინე ლეიტონ ჰიუიტი. მატჩმა 73 წუთს გასტანა და ფუმფულა ბელგიელს შარშანდელ ჩემპიონ ლინდსი დევენპორტთან თამაში გაუშანსა.

**ლევან ძელაურაძე**


REUTERS ციურიხიდან
კიმ კლაისტერსი



**რეგულარული ჩემპიონატი**


REUTERS დეტროიტიდან
დეტროიტელთა მეკარე კერტის ჯოზეფს მონრეალელებმა ზეიმი ჩაუმწარეს

# აგივარდა? პიჟონი ხარ!

17 ოქტომბერი

**დეტროიტი 2:3 მონრეალი 1:0 0:1 1:2**
1:0 შენაჰანი (4), 1:1 დაკელი (21), 1:2 კოივუ (47), 1:3 მარკოვი (50), 2:3 დაციუკი (54)

დეტროიტმა პირველი საშინაო მატჩი 17 ოქტომბერს ჩაატარა. ასეთი იყო განრიგი. ამ დღემ 2002 წლის სტენლის თასის მფლობელის პატივსაცემად მოწყობილი ღონისძიებებიც დააგვირგვინა — ეს იყო ბოლო აკორდი. პირთამდე სავსე „ჯო ლუის არენაზე" მატჩის წინ ჩემპიონს დიდი ზეიმი მოუწყვეს. დროშის აღმართვის ცერემონიალს ექსდეტროიტელები: დომინიკ ჰაშეკი, სკოტი ბოუმენი და 1998 წელს ავტოკატასტროფაში მძიმედ დაშავებული ვლადიმირ კონსტანტინოვიც დაესწრნენ. რუსი პირველად იხილა მაყურებელმა ფეხზე წამომდგარი, თუმც მის საბოლოო გამოჯანმრთელებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. შემდეგ სტენლის თასი გამოიტანეს ყინულზე და მოთამაშეებმა ერთხელაც შეიგრძნეს, უფრო სწორად, გაიხსენეს ტრიუმფის ჟამი.

ცხადია, ასეთი ამაღლებული ცერემონიალის შემდეგ მასპინძლებმა ერთობ ემოციურად და ენერგიულად დაიწყეს თამაში. რამდენიმე სახიფათო მომენტი ბრენდან შენაჰანის გოლით დასრულდა, რომელსაც ახალბედა ჰენრიკ ზეტერბერგმა გადააწოდა (დაიმახსოვრეთ ეს სახელი. შვედი ამ სეზონამდე საუკეთესოდ ითვლებოდა მათ შორის, ვინც ნჰლ-ში არ თამაშობდა). ამის შემდეგ დეტროიტი სრულ უპირატესობას ფლობდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ზეიმი მატჩის ბოლომდე გაგრძელდებოდა, მაგრამ მასპინძლებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გაზრდა, ხოლო მეორე პერიოდის პირველივე წამებზე ანდრეას დაკელმა მეკარე კერტის ჯოზეფის შეცდომა გამოიყენა — 1:1. ამის შემდეგ მონრეალი გაცილებით საიმედოდ ათამაშდა, რამაც აშკარად დააბნია ჩემპიონი. მესამე პერიოდში კი სტუმრებმა მთლად გაიოგნეს მეტოქე: ორი ჩინებული კონტრშეტევის შემდეგ „წითელფრთიანები" უფსკრულის პირას აღმოჩნდნენ. მართალია, დარჩენილ 10 წუთში მათ სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ სხვაობის მინიმუმამდე შემცირებაღა შეძლეს. „დღეს კანონზომიერად წავაგეთ. იოლი დებიუტის და ზეიმის შემდეგ ბიჭებს ცოტა არ იყოს, თავში აუვარდათ და პიჟონობა დაიწყეს" — განაცხადა მატჩის შემდეგ დეტროიტის თავკაცმა დეივ ლუისმა.

**ტორონტო 5:3 ფინიქსი 2:0 3:1 0:2**
1:0 კორსონი (17), 2:0 კაბერლე (19), 2:1 მ. ჯონსონი (26), 3:1 შვეპლა (27), 4:1 ტაკერი (31), 5:1 კორსონი (31), 5:2 მარა (48), 5:3 უილსონი (60)

უეინ გრეცკის წლეულს სრულყოფილი ზეიმი არ ეღირსა. ხუთშაბათს ტორონტოში, დიდების დარბაზში, კანადელი ოლიმპიელების პატივსაცემად დიდი დღესასწაული გაიმართა. ცხადია, ამ ცერემონიალზე სოლტ ლეიკ სიტის ჩემპიონების მესვეურები სჭარბობდნენ (მოთამაშეები ძირითადად მატჩებით იყვნენ დაკავებულნი), მათ შორის იყო კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი გრეცკიც. ამ ზეიმზე გაცხადდა, რომ „დიადი" ნაკრების თავკაცი იქნება 2004 წლის მსოფლიოს თასზე. მისმა ამჟამინდელმა შეგირდებმა, ფინიქსელმა „კოიოტებმა" კი კვლავ მწარე მარცხი იგემეს.

**ბუფალო 4:4 რეინჯერსი 0:2 4:1 0:1 0:0**
0:1 ლინდროსი (15), 0:2 ლინდროსი (16), 1:2 შატანი (22), 2:2 გრეტონი (24), 2:3 პოლიკი (28), 3:3 კონოლი (33), 4:3 შატანი (37), 4:4 ბური (52)

**კაროლინა 1:2 ვაშინგტონი 0:0 1:2 0:0**
1:0 ფრენსისი (26), 1:1 ბონდრა (27), 1:2 იაგრი (37)

**ფილადელფია 3:3 აილენდერსი 1:0 2:1 0:2**
1:0 ფედორუკი (11), 1:1 ბეიტსი (32), 2:1 ჰანდზუში (32), 3:1 რენიკი (34), 3:2 პერიში (52), 3:3 ისბისტერი (38)

**მინესოტა 3:1 დალასი 1:0 1:0 1:1**
1:0 გაბორიკი (15), 2:0 გაბორიკი (38), 2:1 დალინი (56), 3:1 მაკოლტი (60)

**სენტლუისი 7:1 კოლუმბუსი 3:0 2:0 2:1**
1:0 ტკაჩუკი (2), 2:0 ბოგუნიცკი (4), 3:0 ტკაჩუკი (8), 4:0 ჩაიანეკი (28), 5:0 ბოგუნიცკი (32), 6:0 ისტვუდი (43), 7:0 მაიერსი (59), 7:1 შპაჩეკი (60)

**კალგარი 3:3 ბოსტონი 1:1 2:2 0:0 0:0**
0:1 გ. მიური (6), 1:1 ლუდმანი (10), 2:1 კობასიუ (22), 2:2 ჟირარი (26), 2:3 ბერარდი (56), 3:3 კლარკი (40)

**ჩიკაგო 4:1 ფლორიდა 0:0 3:1 1:0**
0:1 ჰუსელიუსი (21), 1:1 ოდელეინი (24), 2:1 მაუსლი (32), 3:1 კოლდერი (37), 4:1 ბელი (42)

**ლოს ანჯელესი 1:4 კოლორადო 0:1 1:0 0:3**
0:1 ფორსბერგი (5), 1:1 ბელანჟე (27), 1:2 ფუტი (47), 1:3 ფორსბერგი (53), 1:4 საკიკი (60)

**სან ხოსე 4:3 ედმონტონი 2:1 1:1 1:1**
1:0 დამფუსი (2), 1:1 ნიინიმაა (6), 2:1 შტურმი (18), 2:2 კარტერი (26), 3:2 ნოლანი (32), 4:2 სელიანე (50), 4:3 კომრი (57)

სანხოსელმა ვენსან დამფუსმა კარიერაში მე-400 გოლი გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკუღმართთა თამაშები

ასე გასინჯეთ და, 2 ნოემბერს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ჰომოსექსუალთა სპორტული თამაშები გაიხსნება. ამ ღონისძიების მხარდასაჭერად ქალაქის განთქმული ნავსადგურის ხიდზე ოცდაერთი უგანთქმულესი გეი შეკრებილა და ყიჟინებს. იპრანჭებიან თავისებურად, როგორც იმ ძველ, ავსტრალიურ ფილმში.



REUTERS სიდნეიდან

# იფრინა

ეს ვარჯიშისას მოხდა — ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშების წინ. იტალიელმა სტეფანო ბიანკომ თავის 125-კუბურსანტიმეტრძრავიან მოტოსთან ერთად იფრინა და საბედნიეროდ, მხოლოდ მსუბუქად შეშინდა.



REUTERS ფილიპის კუნძულიდან

# შინ

სამშობლოში ბრუნდებიან ბალის ტერაქტს გადარჩენილი ავსტრალიელ მობურთალთა გუნდის წევრები. გუნდის ექვსი წევრი აფეთქების შემდეგ ეგრეც ვერ იპოვეს. აეროპორტში კი მოთქმა-ტირილია.



REUTERS პერთიდან




# იყო და ვარგოდა

ლობიოს მარცვლებით სავსე ქილა და სიტყვათა ინგლისური თამაში: „იყო ლობიო“ და უბრალოდ „იყო“. „ვარგოდა 2002 წლის ივნისამდე“. „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების თვალისჩომადაკარგულ მეკარე დევიდ სიმენს პენსიაზე გავსვლას მოუწოდებენ.



# შიშველი ყინულზე

ეს გიჟმაჟი სტრიკერი გოგო, შიშველი რომ გადაეშვა კალგარის ყინულზე იქაური „ფლეიმზისა“ და „ბოსტონ ბრიუინზის“ მატჩის დროს, გვარიანად დაშავდა და ყინულიდანაც საკაცით გაიტანეს. ხალისი კი მაინც არ დაუკარგავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დევლიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge